პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძოლის ხმა

1934 წ. ივლისი
პარიზი
№ 45
1934 — JUILLET
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა ∷ «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

## კავკასიის კონფედერაციის პაქტი

აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის და საქართველოს ეროვნული ცენტრები,

იღებენ რა მხედველობაში, რომ ერთა ყოველმხრივი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მათი სრული დამოუკიდებლობის პირობებში,

დარწმუნებულნი, რომ ამ მიზნის მიღწევა უაღრესად ძნელია გარეშე კავკასიის ყველა ძალების გაერთიანებისა საერთო საზღვრების ფარგალში,

დარწმუნებულნი, რომ კავკასიის ერთა სასიცოცხლო ინტერესების დაცვა მოითხოვს მათი საგარეო პოლიტიკის და მათი ეროვნული თავდაცვის საერთო ხელმძღვანელობას,

დარწმუნებულნი, რომ ამგვარი კავშირით კავკასიის თითოეული ერი მოიპოვებს რეალურ გარანტიას თავისი სუვერენიტეტისა, აუცილებელის ინტელექტუალური და მატერიალური ძალების სრული განვითარებისათვის,

დარწმუნებულნი, რომ იღებენ რა კავკასიის რესპუბლიკათა კავშირის საფუძვლებს, ისინი ეყრდნობიან ყველა მათ თანამემამულეთა მხარის დაჭერას,

ერთსულოვანნი იმაში, რომ კონფედერაცია როგორც პოლიტიკური ფორმა კავკასიის სახელმწიფოთა მოცემულია ამ ქვეყნების გეოგრაფიული და ეკონომიური ერთობით,

აცხადებენ შემდეგ საფუძვლებს კავკასიის კონფედერაციისას:

1. კავკასიის კონფედერაცია, უზრუნველყოფს რა შიგნით ეროვნულ ხასიათს და სუვერენიტეტს თითოეულ რესპუბლიკისას, იმოქმედებს საგარეოთ ყველა რესპუბლიკების სახელით, როგორც საერთაშორისო ერთეული უმაღლეს წყობისა. კონფედერაციას ექნება საერთო საზღვარი პოლიტიკური და საბაჟო.

2. კონფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების საგარეო პოლიტიკას უხელმძღვანელებს სათანადო ორგანოები კონფედერაციისა.

3. კონფედერაციის საზღვართა დაცვა მიენდობა კონფედერაციის არმიას. შემდგარს კონფედერაციაში შემავალ არმიებისაგან, ერთ მთავარ სარდლობით, რომელიც ექვემდებარება კონფედერაციის ხელმძღვანელ ორგანოებს.

4. ყოველივე დავა, რაიცა შეიძლება ატყდეს კონფედერაციაში შემავალ რესპუბლიკათა შორის და რომლის მოგვარება პირდაპირი მოლაპარაკების საშუალებით შეუძლებელი აღმოჩნდება, უნდა გადაეცეს სავალდებულო არბიტრაჟს, ან კონფედერაციის უზენაეს სამსჯავროს. კონფედერაციაში შესული რესპუბლიკები კისრულობენ ვალდებულობას უცვლელათ მიიღონ და აღასრულონ მათი ყველა დადგენილებანი.

5. ექსპერტთა კომისია შეიმუშავებს უახლოეს დროში კავკასიის კონფედერაციის კონსტიტუციის პროექტს ზემოთ ჩამოყალიბებულ პრინციპების სახეში მიღებით: ეს პროექტი გახდება ბაზათ თითოეულ რესპუბლიკის პირველ დამფუძნებელ კრების მუშაობისათვის.

6. ამ პაქტში დატოვებულია ადგილი სომხეთის რესპუბლიკისათვის.

აზერბაიჯანის სახელით:

ე. რასულ ზადე,
აზერბაიჯანის ეროვნულ საბჭოს ყოფილი
თავმჯდომარე და აზერბაიჯანის ეროვნულ
ცენტრის თავმჯდომარე.
ალი მარდან ტოპჩიბაში,
აზერბაიჯანის რესპუბლიკის დელეგაციის
თავმჯდომარე და მთავრობის ყოფილი
თავმჯდომარე.

ჩრდილო-კავკასიის სახელით:

გირი ხუნძ.
იბრაჰიმ ჩულიკ.
ტაუსულტან შაკმან.

საქართველოს სახელით:

ნოე ჟორდანია,
საქარართველოს რესპუბლიკის ყოფილი
თავმჯდომარე და საქართველოს ეროვნულ
ცენტრის თავმჯდომარე.
აკაკი ჩხენკელი,
საქართველოს ყოფილი სრულუფლებიანი
მინისტრი საფრანგეთში.

დადებულია ბრიუსელში
14 ივლისს 1934 წელს.

◆

## კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის მოწოდება

### კავკასიის ყველა მამულიშვილს

ღრმა კმაყოფილებით შეგვიძლია გაუწყოთ ყველას, რომ აზერბეიჯანის, საქართველოს და ჩრდილო კავკასიის ეროვნულ ცენტრების,—რომელთაც შეადგინეს კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი,—სრულუფლებიანმა რწმუნებულებმა შეკრეს და ხელი მოაწერეს კავკასიის კონფედერაციის პაქტს.

კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის დანიშნულება, დღიდან მისი დაარსებისა, იყო ერთმანეთთან დაახლოვება კავკასიის ყველა ერის და გაერთიანება ყველა მათი ძალის საერთო ბრძოლაში დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამ მიზნის განხორციელებისთვის, კ. დ. კომიტეტი ყოველი საშუალებით ცდილობდა მტკიცედ აღებეჭდა ყველა იმ კავკასიელის შეგნებაში, რომლებიც მუდამ ეროვნულ იდეალისთვის იბრძოდენ, იმის რწმენა, რომ სასიცოცხლო ინტერესი მოითხოვს, რაც შეიძლება მალე განხორციელდეს კავკასიის კონფედერაცია, რომელიც არის საუკეთესო საშუალება ჩვენი ეროვნული ინტერესების დასაცავად. დღეს თვით ამ პაქტის გამოქვეყნებით კ. დ. კომიტეტი ამთავრებს თავის მოქმედების პირველ პერიოდს.

ამიერიდან ხსენებული პაქტი უნდა დაედვას მთავარ საფუძვლად ეროვნულ ცენტრების მოქმედებას, რომელთაც დღეიდან უნდა გააერთიანონ ბრძოლა კავკასიის ყველა ერის შეუვალ უფლებათა დასაბრუნებლად.

თავის იდეებით კონფედერაციის პაქტი არამც თუ გამოხატავს გრძნობებს, რომლებიც ასულდგმულებს რუსის ბოლშევიკების ოკუპაციის წინაამდეგ დაუნდობლად მებრძოლ კავკასიის მასებს, არამედ ამასთანავე სრულიად შეეფერება აწინდელ პოლიტიკურ მომენტის რეალურ საჭიროებებს: ჩვენ ვიმყოფებით დიდი ამბების მოლოდინში. ახლოვდება გადამწყვეტი დღეები, რომლებიც გადასჭრიან ყოფილ ცარისტულ იმპერიის ისტორიულ დრამას და ამასთან ერთად მოახდენენ ჩვენი ერების ბედის საბოლოო სტაბილიზაციას. ამ კრიტიკულ მომენტში სასურველს გამარჯვებას მოგვიტანს მხოლოდ მთელი კავკასიის უმტკიცესი ერთობა, რაც შეიძლება მჭიდრო თანამშრომლობა მისი ხელმძღვანელებისა, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ ბრძოლა ბოლომდის საერთო იდეალის მისაღწევად. ამ იდეალს მივაღწევთ ჩვენ მხოლოთ კავკასიის კონფედერაციის დროშით.

კავკასიის მოქალაქენო, შეერთდით! დაირაზმენით ყველანი ამ დროშის ქვეშ: მხარი დაუჭირეთ საქმეს, რომელიც ესეცაა ჩვენ განვახორციელეთ. შეისწავლეთ იგი და განიხილეთ დაწვრილებით ყველა პოლიტიკურ და სოციალურ ორგანიზაციაში, განურჩევლად პარტიისა და პროგრამისა, და მოგვაწოდეთ თქვენი ერთსულოვანი თანხმობა.

დეე თვითეულმა კავკასიელმა გამოამჟღავნოს ამით თავისი დამოკიდებულება პაქტის მიმართ და უჩვენოს მთელს ქვეყანას, რომ კავკასიის კონფედერაციის იდეალი აღაფრთოვანებს მის გულს.

მაგრამ ჩვენი მიზნის მისაღწევად არა კმარა მარტო მისი გამოცხადება: ის უნდა განვახორციელოთ! არა კმარა, რომ კავკასიის ერებმა აწარმოვონ თავისი მოქმედება კონფედერაციის ლოზუნგით: საჭიროა ამასთანავე, რომ ამ მოქმედებას უძღვებოდენ პაქტის ძალით არჩეული და მის პრინციპების თანახმად მომქმედი კომპეტენტური ორგანოები. კ. დ. კომიტეტი ფიქრობს, რომ ამიერიდან საჭიროა გაერთიანება ერთის ხელმძღვანელობით კავკასიის ეროვნულ ცენტრების მთელი პოლიტიკური და რევოლუციური მოქმედებისა.

ამისათვის კ. დ. კომიტეტს განზრახვა აქვს მოიწვიოს კონფერენცია, რომელსაც წარუდგენს თავის მუშაობის ანგარიშს და წინადადებას მისცემს, რათა შედგენილ იქნეს კავკასიის ახალი საერთო ორგანო, რომელსაც მიენდობა პაქტის ძირითადი პრინციპების განხორციელება.

კ. დ. კომიტეტი იმედოვნებს, რომ ამ კონფერენციის დელეგატების არჩევის დროს ეროვნული ცენტრები ყოველ მხრივ შეეცდებიან, რათა განზრახული კონფერენცია იქნეს სრული და წარმოდგენილი იყოს კავკასიის ყველა პოლიტიკური დაჯგუფება, რომლებიც ემხრობიან პაქტის პრინციპებს.

1934 წ. ივლისი.

◆

## კავკასიის კონფედერაცია

ჩვენი გამოცემის ამ ნომერში იბეჭდება კავკასიის კონფედერაციის პაქტი, ხელმოწერილი კავკასიის სამი ერის წარმომადგენლების მიერ.

ეს პაქტი არ არის იმპროვიზაცია, საზღვარ-გარეთ გამოგონილი და შეთხზული ახალი ამბავი. ის მოდის თვით კავკასიიდან, იქ მობინადრე ერთა მიუცილებელი მოთხოვნილებებისაგან და საჭიროებისაგან. ცალკე ეროვნულ სახელმწიფოთა დაარსებას წინ მიუძღოდა ჩვენში მთელი კავკასიის თვითგამორკვევა და ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაარსება 1918 წ. რუსეთის უღლისაგან განთავისუფლება ხდება საერთო ძალღონით, ერთათ დგომით და ერთათ ბრძოლით. ეს იყო ბუნებრივი, სტიქიური მოძრაობა კავკასიის ხალხების ერთი მეორისაკენ, ჭირში და ლხინში ერთად ყოფნისაკენ. ეს ხალხთა გულიდან ამოხეთქილი ნაკადული ერთა სოლიდარობის შეეხეთქა დიდი ომის ნაკადულს, რაიცა წვდა ჩვენს შორეულ ქვეყანასაც და დამარცხდა. ფედერაცია დაიშალა, თვითეული ერი იძულებული ხდება თავს უშველოს ცალ-ცალკე, აარსებს დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულებს, იმ იმედით რომ კავკასიური ერთობა კვლავ აღდგება და ერთ მთლიან საფარველს ქვეშ ძმურათ თავს მოიყრიან დროებით გათიშული ძმები. ჩვენ წილათ გვხვდა ეს საერთო, საკავკასიო იმედი გამოგვეთქვა თავიდანვე, იმ დღეს როცა ფედერაცია დაიშალა და საქართველოს რესპუბლიკა გამოცხადდა. 1918 წ. 26 მაის საქართველოს ნაციონალური საბჭოს პირველსავე სხდომაზე ეს იმედი გამოითქვა ამ სიტყვებით:

«მოქალაქენო, დღეს თქვენ იყავით მოწამე იშვიათი და თან დრამატიულ-ისტორიული აქტის. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ახლა ამავე დარბაზში ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს. ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგან ერთი მოკვდა, მეორე კი იბადება, არ შეიძლება ყოფილიყოს ინტერესთა წინაამდეგობა... საქართველოს ხალხნი, გაერთიანებული საერთო დროშის ქვეშ, დასდებენ კავშირს იმ ხალხებთან, რომელნიც ცხოვრობენ ჩვენი სახელმწიფოს გარეთ და ამ გზით აღსდგება სახელმწიფოებრივი ერთობა, და აღადგენს ჩვენ თვალწინ დანგრეულ სახელმწიფოს. ეს სახელმწიფო იქნება კავკასიის კონფედერატიული კავშირი. ჩვენი გზა, ჩვენი იდეალი მიიმართება ასეთი კავშირის შექმნისაწენ».

ამ იმედის გამართლება იქ ვერ მოვასწარით; დანაწილებული კავკასია დაიპყრო მტერმა ნაწილ-ნაწილათ. იმედი დარჩა იმედათ, ხალხთა გულში აღგზნებულ ლამპარათ და მთელის განხორციელებას მომავალში.

კონფედერაციის პაქტი, როგორც ხედავთ, მოდის კავკასიიდან, მისი დროშა იქ აღიმართა, მისი საყვირი იქ გაისმა, მას შეეწირა მრავალი მსხვერპლი. ჩვენ მხოლოდ მას მივეცით აქ იურიდიული ფორმა, ჩამოვაყალიბეთ მისი სტატუტი, მივეცით წერილობითი ბაზა იმ ბრძოლას თავისუფლებისათვის, რასაც ჩვენს ქვეყანაში ეწევიან ყველა ერთათ, ეროვნების განურჩევლათ. თათარი, ქართველი, სომეხი და მთიელი. ეს ოთხი ხალხი, უხსოვარი დროიდან დასახლებული ერთ ტერიტორიაზე, ერთი მეორის გვერდით, თავისი საარსებო ინტერესებით გადაჯაჭვული იყვენ და არიან ერთიმეორეზე; ერთი ვერ წავა წინ თუ მეორე არ გაიყოლია, ერთი ვერ წაიქცევა თუ მეორეც თან არ ჩაიყოლია. საქართველოს თავისუფლების დაკარგვას მოყვა მთელი კავკასიის თავისუფლების დაკარგვა მე-19 საუკუნეში; კავკასიის თავისუფლების დაკარგვას მოყვა საქართველოს თავიუფლების დაკარგვაც მეოცე საუკუნეში. ასე იყო მუდამ და ასე დარჩება მომავალშიაც. ან ერთათ თავისუფლებაში, ან ცალ-ცალკე მონობაში, მესამე გზა ისტორიას არ მოუცია. კავკასიის ხალხებს ეს ჭეშმარიტება შეგნებული აქვთ, ისინი იბრძვიან ხელიხელ გაყრილნი ტირანიის წინაამდეგ. ჩვენი პაქტი მხოლოდ იურიდიული გამოხატულებაა დღევანდელი ბრძოლის და ხვალინდელი გამარჯვების. მის დროშაზე აწერია ერთა, ყველა ერთა, სოლიდარობა, თავისუფლების და დამოუკიდებლობის ნიადაგზე. ის ებრძვის მხოლოდ ძალმომრეობას, უღელს და მტარვალობას. მისი იდეალია მოწინავე კაცობრიობის იდეალი, მისი გზა მიიმართება ისტორიული აუცილებლობის გზით. ერი უნდა იყოს თავისუფალი, ამას ვერ შეაჩერებს ვერავინ.

კავკასია ერთი მთლიანი ტერიტორიალური და ეკონომიური ორგანიზმია; აქეთ არ ძევს გზანი არც ჩრდილოეთის, არც სამხრეთის; მათი საარსებო გასავალნი სხვაგან არიან; აქ ძევს მხოლოდ ერთი მოკლე გზა—დასავლეთიდან აღმოსავლეთში, აღმოსავლეთიდან დასავლეთში. კავკასიას შევყავართ შუაგულ აზიაში, ამ კაცობრიობის და კულტურის უძველეს აკვანში. ეს გზა დღეს დახშულია, მას გახსნის მხოლოდ თავისუფალი კავკასია; ამ თავისუფლებაში დაინტერესებულია ყველა ერი, ყველა სახელმწიფო, რომელიც კი არ არის შეპყრობილი ვიწრო ნაციონალიზმით და ფართე იმპერიალიზმით. კავკასიის პრობლემა საკაცობრიო პრობლემაა; მისი გადაჭრის ფორმა ერთათ-ერთია, ეს არის კავკასიის კონფედერაცია.

კავკასიის ერნი დგანან რა პაქტის ნიადაგზე მოუწოდებენ საბჭოთა კავშირის ყველა ჩაგრულ ერთ და ხალხთ შეერთებული ძალღონით კომუნისტური ტირანიის დასანგრევათ და საერთო თანხმობით ერთა და ხალხთა ცხოვრების და ურთიერთობის ასაგებათ თავისუფლების და კეთილმეზობლობის საფუძველზე.

კავკასიის პაქტი არის საუკეთესო ფორმა ამ ურთიერთობის გასატარებლათ, აღმოსავლეთის პატარა მეზობელ ერთა შესაკავშირებლათ და მძლავრ საერთაშორისო ფაქტორათ გადასაქცევათ. ერთათ დგომით აშენდებიან, ცალ-ცალკე დგომით დაიქცევიან...

ნ. ჟ.

## საქართველოს საგარეო პოლიტიკა

### 3.

ხალხი თავის მტერი არ არის; მის მიერ წარმოებული პოლიტიკა არ შეიძლება არ მომდინარეობდეს მისი საარსებო მოთხოვნილებისაგან, მისი მიუცილებელი საჭიროების და მდგომარეობისაგან. ხოლო ხალხის პოლიტიკა ნიშნავს ერის პოლიტიკას, ნაციის დიდი უმრავლესობის ინტერესების გამოხატულებას.

ხალხის მტერია არა ხალხი, არამედ მისგან გამდგარი და მის მაღლა მდგომი გაბატონებული კლასი თუ ჯგუფნი, რომელნიც მას ეპირდაპირებიან ცხოვრებაში და, მაშასადამე, მათი საშინაო და საგარეო მუშაობა სხვადასხვა ინტერესებს ემსახურება.

რაკი საქართველოში დაირღვა ძველი გაბატონებული წოდება, ხოლო მისი ალაგი ვერ დაიჭირა ახალმა ბატონებმა, ამით ძალა-უფლება ხელში ჩაუვარდა ხალხს, ერის დიდ უმრავლესობას და შეიქნა შესაძლებელი მართლა ნაციონალური პოლიტიკის წარმოების. ეს პოლიტიკა არ იყო იმპროვიზაცია, უცებ გამოგონილი მუშაობა, არამედ იყო ლოღიკური გაგრძელება იმ პოლიტიკის, რომელსაც მისდევდა თავის რევოლიუციურ ბრძოლაში ქართველი ხალხი. მისი დამახასიათებელია ორი დებულება: თავიდან აცილება იზოლიაციის და ავანტიურის. ეს ხაზი დიდის სიფრთხილით და გამჭრიახობით ტარდება გარემოებათა ახალ ქსელში, სამოქალაქო ომის და მსოფლიო სისხლის ღვრის საბედისწერო მომენტში. ერის გემი ცურაობდა აი ამ ორ აგორებულ ტალღებს შორის, სცილას და ხარიბდას სასიკვდილო ლახვარის მიდამოებში და ბოლოს გაბედულათ, გონიერათ გაექცა ორივეს, გამოვიდა უვნებლათ სანაპიროში. მისი ორგანიზმი ვერ დაასახიჩრა ვერც შინაურ, ვერც საგარეო ომმა. საქართველო გადაიქცა ირგვლივ ანთებულ კოცონის ზღვაში ის მშვიდი და აწყობილი კუნძული, სადაც პოულობდენ უშიშროებას და მყუდროებას ყველა დევნილნი და შეწუხებულნი. ამ ტრაღიკულ ხანაში ქართველმა ხალხმა დიდებულათ ჩაიბარა ისტორიის გამოცდა.

ამ ხაზის გამარჯვება შესაძლებელი გახდა ერის დისციპლინით, ყველა მისი სასიცოცხლო ნაწილების დარაზმვით და ერთი მთლიანი ნაციონალური ფრონტის შექმნით. პატარა ერი ვერ გადაურჩება ისტორიულ ქარცეცხლს საშინაო შუღლით და განხეთქილებით. ეს შეგნება გახდა საყოველთაო, სახალხო და ის გადაიქცა ჩვენი პოლიტიკური დოქტრინის მიუცილებელ ელემენტათ. ამ ხაზს დაშორდენ მხოლოდ მცირე ჯგუფები, როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ და თავის სახელმძღვანელოთ გაიხადეს ძველი ფეოდალური პოლიტიკა: თავისი ბატონობა მოიპოვონ არა თავის ხალხის, არამედ უცხო ხალხის საშუალებით, უცხო ძალებზე დაყრდნობით; ასეთ ძალათ ერთმა დასახა ჩვენში მდგომი უცხო ჯარი, ხოლო მეორემ მოსკოვი. პირველი ჩაგვიდგა სისტემატიურ ოპოზიციაში, მეორემ სისტემატიურ მტრობაში. მაგრამ ესენი წარმოადგენდენ თავისთავათ უმნიშვნელო ძალას და ოდნავადაც ვერ არყევდენ ერის მთლიანობას.

ჩვენი საგარეო პოლიტიკის მთავარი ძარღვი მიიმართებოდა რევოლიუციურ ერთა თვით გამორკვევის გატარებისაკენ საერთო თანხმობით და ურთიერთ გარანტიით. ე. ი. ერის და ხალხის თავისუფ-

ლების განმტკიცება ყველა ჩაგრულ ერთა და ხალხთა შეერთებით და ამათი ურთიერთობის აწყობით და დაწყობით.

მაშასადამე აქ გასარჩევია ორი მომენტი: მიზანი და გზა ანუ მეთოდი მის მისაღწევათ. რევოლიუციის დროშაზე ეწერა ორი ლოზუნგი: დემოკრატია და ერთა თვითგამორკვევა. ხოლო თვითგამორკვევა ნიშნავდა ერის თავისუფლებას და საკუთარი სახელმწიფოს დაარსების შესაძლებლობას. სხვანაირი თვითგამორკვევა ისტორიამ არ იცის. მაგრამ ამ მიზნის მიღწევა მოითხოვდა შესაფერ მეთოდს, რომ ბოლოს არ მიგვეღო მიზნის საწინააღმდეგო მდგომარეობა და არ დავმარცხებულიყავით. ყველა ჩაგრულ ხალხთა და ერთა ერთობა და საერთო ძალღონით საერთო მიზნის განხორციელება იყო ჩვენი მთავარი საშუალება. ეს იყო ჩვენთვის უძლიერესი ფარხმალი იზოლიაციის და დამარცხების წინააღმდეგ ამართული. მაგრამ ამ ხაზს თანდათან ეცლებიან სხვა და სხვა ხალხნი, პირველ ყოვლისა რუსის ხალხი. რევოლიუცია და დემოკრატია მარცხდება ცენტრში, ბოლშევიკური და მონარქიული რეაქცია იფეთქა; ყველა დანარჩენი ერი თავის ძალით და პასუხისმგებლობით არკვევს თავის თავს სუვერენულ და დემოკრატიულ ერათ ჩვენ ვიკეტებით ამიერ კავკასიის საზღვრებში და აქ ვაგძელებთ ჩვენს ხაზს. და როცა ეს რკალიც სქდება გარეშე ძალის შემოსევით, ვიკეტებით ჩვენს საკუთარ საზღვრებში იმ იმედით, რომ კვლავ გადავებმებით ჩვენს მეზობლებს და შევქნით მთლიან საერთო საფარს. ამ ეკლიან გზაზე ქართველი ერი ვიდოდა მთლიანათ, შეგნებულათ და დაწყობილათ.

რაკი ჩვენ ვერ მივიღეთ ქართველი ერის დამოუკიდებელი არსებობის შესაძლებლობა შინაგანი, საიმპერიო ძალების აწყობით, ვერც კავკასიის ფრონტის შექმნით, ამით მივიჩიხეთ გარეშე იმპერიალისტური ძალებისაკენ და გადავებით მათი ინტერესების ალალბედს. ჩვენ აქ მოვიპოვებდით მფარველობას იმდენათ, რამდენათ თავისუფალი საქართველო შევიდოდა მათი საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში, ე. ი. რამდენათ ეს მათვის სასარგებლო და საინტერესო გახდებოდა. ყველა, ახლათ აღორძინებული ერი გაექანა ევროპისაკენ, ყველამ აქ გაშალა თავის მუშაობა და დაიწყო ძებნა მფარველის და დახმარების. ამათ შორის ვიყავით ჩვენც. ე. ი. მიზანი რჩება ურყევი, ნაციონალური თავისუფლება ჩვენს დროშათ, მხოლოდ იცვლება მეთოდი. ვცდილობთ მოვიპოვოთ დამოუკიდებლობის გარანტია დიდი სახელმწიფოებისაგან და საამისოთ ეწყობა მთელი საგარეო მუშაობა.

ყველა არსებული პატარა სახელმწიფოები არსებობენ რომელიმე დიდი სახელმწიფოს თუ სახელმწიფოთა შემწეობით, ე. ი. ყველა ისინი წარმოადგენენ მიუცილებელ ღერძს საერთაშორისო წონასწორობისა. ბელგიას და სკანდინავიას უდარაჯებს ინგლისი, შვეიცარიას მის ირგვლივ მდებარე მოქიშპე დიდი ერები, ბალკანეთს რუსეთი წინეთ, დღეს საფრანგეთი, არაბეთს ინგლისი, სამხრეთ ამერიკას ჩრდილო ამერიკა (მონროეს დოქტრინა), ერთი სიტყვით არც ერთი პატარა ერი არ არის გაშვებული ეულათ, ბაწარწაძრობილი, გინდ იყავი და გინდ არა. ერი, რომლის თავისუფლება არავის არ ესაჭიროება სხვის ულელშია.

ვერც ერთი პატარა ერი თავს ვერ გაინთავისუფლებს დიდისაგან მხოლოდ საკუთარი ძალღონით. სუსტის და მძლავრის კანონი მუდამ ძალაშია.

რა გეზით მიიმართა ჩვენი დამოუკიდებლობის დროს მსოფლიო პოლიტიკა და რა გავლენა იქონია ამან ჩვენს სვე-ბედზე?

ახალ აღორძინებულ ნაციონალურ ერთეულებში დამოუკიდებლობა შეინარჩუნა მხოლოდ იმათ, რომელნიც მდებარეობენ რუსეთს და ევროპის შორის. ამის მთავარი მიზეზია არა მათი განსაკუთრებითი ღირსება და უნარიანობა, არა მათი საკუთარი თვისებები, არამედ მათი გეოგრაფიული მდებარეობა და ამიტომ მათ არსებობაში ევროპის დაინტერესება. მას შემდეგ რაც ევროპის ექსპედიცია რუსეთში თეთრი ძალების დასახმარებლათ დამარცხდა და იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო, აშკარა ხდება ევროპიელთათვის, რომ ბოლშევიზმი რჩება რუსეთის განვითარების აუცილებელ საფეხურათ და საჭიროა მხოლოდ ამ ჭირისაგან დასავლეთის დაზღვევა. ამერიკის ელჩის ცნობილი სიტყვა ვერსალის კონგრესზე «სანიტარული კორდონის» გავლებაზე რუსეთ-ევროპის შორის ხდება ამ მიმდინარეობას ოფიციალურ გამოხატულებათ. ბოლშევიკური რუსეთის და ევროპის შორის ბუფერი—სახელმწიფოთა შექმნა შედის ევროპის მსოფლიო პოლიტიკის სისტემაში; ეს ახალი კარანტინი ხდება ამ სისტემის წონასწორობის მიუცილებელ ელემენტათ. ბოლშევიზმი იკეტება ამით თავის სამშობლოში და ის ცხადდება რუსულ წყობილებათ.

მაგრამ ამავე დროს გამოჩნდა, რომ ასეთი კარანტინის შექმნაში დაინტერესებულია თვით ბოლშევიკური ხელისუფლება. ის, შეშინებული მუდმივი ინტერვენციით, ცდილობს თავიდან აიცილოს ეს ევროპიული ჭირი საზღვრების შეცვლით, ახალი ნეიტრალური სახელმწიფოების აღორძინებით დასავლეთის გასწვრივ და მით უზრუნველყოფა ამ მხრით თავისი არსებობის. ყველაფერში დაპირდაპირებული ორი ბანაკი—ევროპა და მოსკოვი—ერთი-მეორის შიშით შეერთდენ ამ ერთ საკითხში და გაავლეს თავიანთ შორის «ნეიტრალური ზონა». მათი უშიშროება ამას მოითხოვდა, მიუხედავათ იქ ბინადართა ვინაობისა და მათი წასულისა.

პოლიტიკაში ის მიღწევაა მკვიდრი და საფუძვლიანი, რომელიც აგებულია ინტერესზე, რეალურ სარგებლობაზე. ყველაფერი ის რაც კეთდება ინტერესის გარეშე, ხათრით, პროტექციით, სიმპატიით, წარმავალია, უძირო მცენარეა. დღესაც ბალტიის პატარა სახელმწიფოები წარმოადგენენ მთავარ საფარს მოსკოვისათვის და ამიტომ ლიტვინოვი ყოველნაირი საშუალებით ცდილობს მათი ხელშეუხებლობა უზრუნველყოს.

ახლა გადავხედოთ კავკასიის მდებარეობას და მის მეზობელ სახელმწიფოთ. ერთათ-ერთი მეზობელი, რომლის ინტერესში შედიოდა უეჭველათ ჩვენი დამოუკიდებლობა—ეს იყო ოსმალეთი. ეს ოდესმე დიდი სახელმწიფო დღეს პატარათ ქცეული საკუთარი ძალღონით ვერ დაიფარავს თავის თავს დიდი მოსაზღვრე რუსეთისაგან. ის ადრე თუ გვიან უნდა გახდეს მსხვერპლი ამ ვეშაპისა. აქ გაისკვნა ორი მოპირდაპირე ინტერესი: ოსმალეთის, რუსეთის წინააღმდეგ საფარი—კავკასია, რუსეთის, ასეთი საფარის მოშლა და ოსმალეთთან საერთო საზღვარი, რომ ამით მას ქონდეს მუდმივი შესაძლებლობა მასზე მოახდინოს პირდაპირი გავლენა. რაკი ოსმალეთის გზით მოსკოვს არ მოელოდა ინტერვენცია, მსგავსათ ევროპის გზისა, ცხადია მის ანგარიშში აღარ შედიოდა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. არ შედიოდა ეს არც ევროპის «სანიტარული კორდონის» სფეროში. ვინაიდან ჩვენ დიდათ დაშორებული ვართ მისგან გეოგრაფიულათ და ამ მხრით მას არ მოელოდა ბოლშევიზმის საშიშროება. ეს მით უფრო რომ ევროპა იჯდა კონსტანტინოპოლში და სრუტეების გზას ფხიზლათ იცავდა, იქით არ უშვებდა მოსკოვის სენს, ხოლო აქეთ ვისაც ის მოედებოდა—არ დაგიდევდა. ამნაირათ, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას ითხოვდა ერთათ-ერთი ოსმალეთის (რამდენიმეთ სპარსეთის) ინტერესი, ძალა ერთობ მცირე და გავლენით სუსტი. მაგრამ ეს მცირე ძალაც, კიდევ უფრო დამცირდა იმ მდგომარეობით რომელშიაც ის მოემწყვდა. მას გადაეკიდა ევროპა, მის წინააღმდეგ დარაზმეს საბერძნეთი, მის გზებს და დედა-ქალაქს დაეპატრონენ ევროპიელები და ამით აიძულეს ის ჩრდილოეთში მოენახა დამხმარე და მფარველი. განსაკუთრებით ლოიდ ჯორჯის მთავრობამ ითამაშა ამ მხრით გადამწყვეტი როლი და ოსმალეთი დააჩოქა მოსკოვის წინაშე: მოსკოვის აგენტი, ლოიდ ჯორჯის პირადი მდივანი, უაზი ერთი მხრით აახლოვებდა თავის მთავრობას მოსკოვთან, ხოლო მეორე მხრით ასისიანებდა მას ოსმალეთის წინააღმდეგ; შუღლი ოსმალეთს და ევროპის შორის შედიოდა მხოლოდ რუსეთის ანგარისში, რომ ამით ის ჩამოეთრია ანტი-ევროპიულ ბლოკში და გაბატონებულიყო კავკასიაში მისივე დახმარებით. ამ მიმდინარეობას ხელს უწყობდა ინგლისის ლიბერალიზმის ტრადიციული ანტი-ოსმალური პოლიტიკა, რომლის სადავე ლოიდ-ჯორჯს ხელთ ეპყრა და ის ეძლეოდა ძველებურ ილიუზიას—რუსეთის ოსმალეთის წინააღმდეგ დარაზმვას. მისთვის მისაღები იყო თუნდაც კაციჭამია რუსეთი, თუ კი მას ამ ხაზზე აამოძრავებდა და მაშასადამე ბუფერ-სახელმწიფოს შექმნა ოსმალეთს და რუსეთს შორის მის ანგარისში არ შედიოდა. სწორეთ ამიტომ 1920 წელს შემოდგომაზე ლოიდ ჯორჯი უცხადებს კრასინს, რომ ამიერ-კავკასიაში ინგლისი არ არის დაინტერესებული, როგორც ეს შემდეგ ჩიჩერინმა გამოამჟღავნა. მხოლოდ ამ აშკარა ნებართვის მიღების შემდეგ, რუსეთი შემოგვესია. ასე დაუგეს მახე ოსმალეთს და ისიც შიგ ხელაღებ ჩავარდა. აზერბეიჯანი დაეცა სწორეთ ოსმალთა მეოხებით, ძალდატანებით და რჩევით, იგივე ოსმალები დაესხა საქართველოს ზურგიდან რუსეთის შემოსვლის დროს—ერთი სიტყვით მიიღო აქტიური მონაწილეობა ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა დაცემაში.

როგორც ხედავთ, საერთაშორისო ურთიერთობა დასავლეთით მიიმართა ბალტიკის სასარგებლოთ, ხოლო აღმოსავლეთით ამიერ-კავკასიის წინააღმდეგ. ჩვენი საგარეო პოლიტიკა მოემწყვდა აი ამ ობიექტიურ ჩვენს სამტროთ მომართულ პირობებში, რომლის გარღვევა პატარა ერის ძალღონეს აღემატება. მას შემდეგ რაც რევოლიუცია რუსეთში დამარცხდა, მაშასამე დაიკარგა იმედი შინაგანი ძალთა ურთიერთობით ერთა თავისუფლების და თანამშრომლობის უზრუნველყოფის, ჩვენი ყურადღება მიიმართა, რასაკვირველია, საგარეო ძალებისაკენ და აქ თავიდანვე შევეჩეხეთ ჩვენს წინაშე ამ აღმართულ კედელს. ოსმალების შემოსევა შევაჩერეთ გერმანელების შემწეობით, ერთათ ერთი მაგალითი ომის მსვლელობაში მოკავშირეთა ერთი-მეორის წინააღმდეგ მიმართვისა; ომის გათავებისას ჩვენ მთელ რუსეთთან ერთათ მოვხდით გამარჯვებულთა ბლოკადაში, ხოლო ინგლისის პრესაში გაიმართა მთელი კამპანია («მორნინგპოსტ», «ტაიმსი» და სხ.) საქართველოს წინააღმდეგ. მათ ისარგებლეს საზღვარ-გარეთელ ქართველ ავანტიურისტების ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულობით, მიაწერეს ის მთელ საქართველოს, გამოგვაცხადეს მოღალატეთ, ოსმალო-გერმანელთა აგენტებათ, დაგვაყენეს საერთაშორისო მფარველობის გარეშე. მიუხედავათ ჩვენი ცდისა, დიდი ავანსების მიცემისა ინგლისისათვის, რომელიც ფაქტიურათ საკითხს სწყვეტდა, მისი პოლიტიკის სისტემაში ვერ შევედით, ჩვენი საკითხით არ დაინტერესდა. ამით აიხსნება იარაღის შესაძენათ ღენ. ოდიშელიძის თავმჯდომარეობით გამოგზავნილი კომისიის დამარცხება და ხელცარიელი დაბრუნება. მოკავშირეებმა ხელი დაადვეს ყველა იარაღს სადაც კი ის ეწყო და აკრძალეს ვისმესათვის რაიმე იარაღის მიცემა. საქართველო იძულებული იყო იარაღის, განსაკუთრებით თოფის, ნაკლებობის და ბლოკადის გამო, დაკმაყოფილებულიყო მცირე შეიარაღებული ძალებით.

ასეთ ჩვენს წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო ურთიერთობაში ჩვენი რესპუბლიკის სამ წელიწადს გაძლება, მის მიერ შინაური წყობილების ახალ თანამედროვე საფუძველზე აწყობა, ხოლო გარეთ ყველა იურიდიული უფლებების და ცნობის მოპოვება ჩაითვლება უდიდეს გამარჯვებათ, რაიცა წინეთ არც ერთ ქართველს აზრშიაც არ მოუვიდოდა. საქართველო მე-15 საუკუნის შემდეგ პირველათ ახლა გაერთიანდა პოლიტიკურათ, სულიერათ, შექმნა ერთი მთლიანი ნაციონალური წყობილება, ერთი მთავრობა და მოიპოვა დამოუკიდებლობის ხარტია მტრის და მოყვრისაგან. მისი ყველა სასიცოცხლო ძალების აღორძინება, შეუჩერებელი დუღილი, მრავალფეროვანი შემოქმედება და ჰარმონიულათ საერთო მიზნისაკენ მიმართვა დარჩება სამუდამო ძეგლათ ქართველი ერის ცხოველმყოფელობის, კულტურის და მომწიფების. აი ეს ძეგლი არის ურყევი თავდები მომავალში ჩვენი გამარჯვების და აღდგომის.

ამ გვარათ, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცემის მთავარი მიზეზია ჩვენი იზოლიაცია კავკასიაში, აზიაში, ევროპაში. დავრჩით მარტო, ჩვენ წინააღმდეგ მოიმართა ყველა საგარეო ძალები. მაგრამ ეს იზოლიაცია არაფრით არ გავს გასულ საუკუნეთა იზოლიაციას. მაშინ ამას აწარმოებდენ ჩვენი მეთაურები შეგნებულათ, გაზომილათ, ეს იყო მათი პოლიტიკა. ახლა კი ის გახდა შედეგი არა ჩვენი მუშაობის და პოლიტიკისა, არამედ გარეშე ობიექტიურ პირობებისა. ქართველობამ კი პირიქით აწარმოვა პოლიტიკა ერთა სოლიდარობის, საგარეო კავშირების და მეგობრობის, მსოფლიო პოლიტიკური სისტემაში შესვლის. ეს ხაზი დაამარცხა გარეშე უძლეველ გარემოებამ. მაგრამ ამას არ შევხვდით პანიკურათ, არ დაუჩოქეთ მოსკოვს, არ მივეცით ახალი თამასუქები და არ ჩაუვარდით ძველებურათ კალთაში. ქართველი ერი კარგავს თავისუფლებას ბრძოლით და არა ჩოქვით, ის განაგრძობს ბრძოლას, იარაღს არ ყრის არც შინ და არც გარეთ, ის არ ურიგდება შექმნილ მდგომარეობას და ცდილობს მის გარღვევას. მან შეინახა ნაციონალური მორალი, გაუტეხელი ნებისყოფა, წმინდა იდეალი. როგორც კი ობიექტიური პირობები ჩვენს სასარგებლოთ მობრუნდება, ეს იდეალი ხორცს შეისხამს და გამარჯვებული მოგვევლინება...

ნ. ჟ.

◆

## მოსკოვის მთავრობის ეკონ. პოლიტიკა დაპყრობილ რესპუბლიკებში

(წერილი საქართველოდან)

საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ პოლიტიკას ახასიათებს ერთის მხრივ სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის დაგეგმვის სრული ცენტრალიზაცია, მეორეს მხრივ კი განაპირა ქვეყნების—დაპყრობილ რესპუბლიკების სრული გაცარცვა, მათი საარსებო წყაროების განადგურება.

მთავრობა, რომელიც მოტყუებით გაბატონდა, რომელმაც გამარჯვების მეორე დღესვე უღალატა იმ კლასს, რომელსაც ეყრდნობოდა ძალაუფლებისათვის ბრძოლის პერიოდში, იძულებული იყო, რომ ეს ძალაუფლება შეენარჩუნებია, გამხდარიყო ხალხისაგან სრულიად დამოუკიდებელი, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად. ხალხის სუვერენობის აბსოლიუტური მოსპობა და თავისი თავის განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვა, ქვეშევრდომთა უფლებების გაუქმება კერძო საკუთრებაზე და და მთელი სახალხო მეურნეობის თავის ხელუხლებელ საკუთრებათ გამოცხადება, აი რა უნდა დაეწერა თავის დროშაზე ასეთ მთავრობას.

მოსკოვი უბრძანებს ყველას—კავშირში შემავალ რესპუბლიკებს, თუ სამეურნეო წელში რამდენი ჰექტარი უნდა დაითესოს: ბამბა, თამბაქო, ჩაი, პური, სიმინდი და სხვა; მოსკოვი აძლევს თითოეულ რესპუბლიკას საკანტროლო ციფრებს, თუ რამდენი უნდა ჩააბაროს მას საშინაო და საექსპორტო: ხეტყის მასალა, ღვინო, მატყლი, ხილი, ხორცი, ერბო, კარაქი, კვერცხი, ქათამი და სხვა. რესპუბლიკანურ მთავრობებს მოსკოვის მთავრობის მიერ შემუშავებულ გეგმაში რაიმე ცვლილებების შეტანის უფლება არა აქვს. ასეთ თავხედობისათვის, პარტიის გენერალური ხაზის გამრუდებისათვის დიდი ბატონი დასჯის. და რესპუბლიკანური მთავრობებიც უსიტყვოთ ასრულებენ დიდი ბატონის ბრძანებას.

ამნაირად, მოსკოვის მთავრობა, დამოუკიდებელი ხალხიდან პოლიტიკურად და ეკონომიურად, დამოუკიდებელი გახდა კავშირში შემავალ რესპუბლიკების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებიდან, როგორც პოლიტიკურათ, ისე ეკონომიურადაც.

აქ ლოღიკა დაცულია, მიზანი მიღწეული.

მოსკოვის საბჭოთა მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა მიმართულია არა ხალხის კეთილდღეობისაკენ, არა იქით, რომ ამ ხალხს შეუქმნას არსებობის შეღავათიანი პირობები, არამედ ამ პოლიტიკის ერთად ერთ გამოსავალ წერტილს შეადგენს ხელისუფლების გაძლიერება. ძალაუფლების მისთვის ხანგრძლივათ შენარჩუნება. ესაა სწორეთ მიზეზი იმის, რომ სადღეისო ეკონომიურ ეფექტს მსხვერპლად ეწირება სახალხო მეურნეობის სახვალიო ინტერესები. მთავრობა, რომელიც მხოლოდ შეიარაღებულ ძალას ეყრდნობა და მთელი მოსახლეობა მტრული თვალით უყურებს, არ არის დარწმუნებული, რომ ხვალ ძალაუფლებას არ დაჰკარგავს, ასეთ მთავრობას დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს. ამიტომ არის კიდეც, რომ დღევანდელი მისი ეკონომიური პოლიტიკა—ეს არის პოლიტიკა სახალხო ქონების აჩქარებული ცირცვის, ბუნებრივ სიმდიდრეთა მტაცებლური ექსპლოატაცია.

მოსკოვის მთავრობა ამ პოლიტიკას განსაკუთრებული სიმკაცრით განაპირა ქვეყნებში—დაპყრობილ რესპუბლიკებში ატარებს. ამ რესპუბლიკებმა, განსაკუთრებით კი საქართველომ მოსკოვის ოკუპანტებს უამრავი უსიამოვნება მიაყენა, როგორც შინაურ, ისე საგარეო პოლიტიკაში. მიუხედავათ აუწერელი ძალადობისა და სისხლიანი ტერორისა, ქართველი ერი ხელს არ იღებს თავის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე. მოსკოვი არც ერთ დაპყრობილ ქვეყანაში არა გრძნობს თავისი ძალაუფლების განგრძობის უნიადაგობას, როგორც საქართველოში და ამიტომ არის კიდეც, რომ საქართველოს გაცარცვა. მისი ბუნებრივი სიმდიდრეთა მტაცებლური ექსპლუაცია პირველ რიგში აქვს წამოყენებული.

საილიუსტრაციოთ ამ წერილში ჩვენ შევეხებით მხოლოდ მეურნეობის ერთ დარგს—სატყეო მეურნეობის.

ვინც ოდნავ მაინც იცნობს საქართველოს მდებარეობას, მის ანტროპოგეოგრაფიულ პირობებს, მისთვის აშკარაა, თუ რამდენათ დამოკიდებულია ამ ქვეყნის, ჰავა, მოსავლიანობა, მდინარეთა მუდმიობა და მოსახლეობის ბინადრობა სატყეო მეურნეობაზე. საქართველოს მოსახლეობის ორი მესამედი მაინც დაბინავებულია მთა გრეხილთა ძირებში. ის მცირეოდენი ვაკე ადგილებიც კი, რომელიც საქართველოს მოსახლეობას გააჩნია, შემორტყმულია ცამდის აწვდენილ, ტყეებით შემოსილი მთებით. მოაშორეთ ამ მთა-გრეხილებს თავისი ბუნებრივი სამოსელი, გაჩეხეთ ტყეები და საკმარისია ერთი ორი წელიწადი, რომ ეს მთები გაუვლელ ხრიოკებათ, ტიტველ კლდეებათ გადაიქცეს და იქიდან მოვარდნილმა ნიაღვარმა წალეკოს მოსახლეობა და მისი ნაამაგარი. დაშრება მდინარეები, წყაროები და სრულიად შეიცვლება ჰავა. ჩვენი მთებისა და გორების წიწაბურობა საშუალებას არ იძლევიან ერთხელ გაჩეხილი ტყე ხელმეორეთ ამოვიდეს. ამ გარემოებას რუსეთის თვითმპყრობელობაც კი უწევდა ანგარიშს და მთელი რიგი ტყეებისა ხელშეუხებელ ტყეებათ იყო აღიარებული.

რუსეთის ახალი თვითმპყრობელობა სულ სხვა გზას დაადგა. ხალხის ინტერესები მისთვის აბა რა ანგარიშში მისაღებია და აი იწყება საქართველოს ტერიტორიაზე ტყეების გაჩანაგება. მეხუთე წელიწადია, რაც მოსკოვის ბრძანებით იჩეხება ტყეები და მთელი ვარგისი მასალა საზღვარ გარეთ გააქვთ, უვარგისი ხმარდება ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ტყეების გაჩეხა ხდება მტაცებლური გეგმით, რამაც შესაფერი ნაყოფი უკვე გამოიღო. გახშირდა ნიაღვრები და მთელი სოფლების წალეკვა. უამრავი მსხვერპლი ადამიანისა და ოთხფეხი ცხოველის ეწირება მოსკოვის მტაცებლურ პოლიტიკას. მდგომარეობა იმდენათ გამწვავდა, რომ იძულებული გახდენ ქართველი კომუნისტებიც კი აღემაღლებიათ ხმა და მოეთხოვათ საქართველოში ტყეების გაჩეხის შეჩერება. საქართველოს კომისართა საბჭომ 1933 წლის დასაწყისში სპეციალური კომისია გამოყო, რომელსაც დაევალა მოსკოვში გამგზავრება და მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა, რათა აწი მაინც შეეჩერებიათ საქართველოს ტყეების განადგურება. საპასუხოთ მოსკოვის მთავრობამ ამავე წლის აგვისტოში გამოგზავნა თავისი აგენტი ვინმე ლობოვი.

ლობოვის საქართველოში ჩამობრძანებამ «ბრწყინვალე» სტრიქონები შეიტანა «დამოუკიდებელი» საქართველოს მთავრობის «დამოუკიდებელ» საქმიანობის ისტორიაში. ვილაც ლობოვი საბჭოთა საქართველოს მთავრობის წევრებს ისე ეპყრობა, როგორც ბიჭბუჭებს. სცემს დამოუკიდებლათ ბრძანებებს, უკარნახებს დადგენილების ტექსტს საქართველოს და ამიერ კავკასიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტებს, რომლის ძალით ხსნის სამსახურიდან და უცხადებს საყვედურს სატყეო დარგში მომუშავე პასუხისმგებელ ქართველ კომუნისტებს, ხოლო უპარტიო სპეციალისტებს: ინჟინერებს, ეკონომისტებს და სხვებს აპატიმრებს და გეპეუს სარდაფებში სვამს, რომლებიც დღემდე იქ ლაფავენ სულს. აი მოსკოვის დიდმა ბატონმა როგორ დააფასა ურჩ ხელქვეითთა თავხედობა და სიტყვის შებრუნება.

როგორ გაბედეთ, როგორ დასძარით სიტყვა მოსკოვის მთავრობის გეგმის წინააღმდეგ. თქვენ განგებ უშლიდით ხელს ტყეების ექსპლატაციის გაფართოებას, თქვენ ჩაშალეთ მოსკოვის გეგმა. ამით დაარღვიეთ პარტიის გენერალური ხაზიო—ბობოქრობდა ლობოვი.

ბატონის წინაშე ურჩობა, აბა, ვისთვის ყოფილა სასარგებლო, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიისათვის ყოფილიყო და მოსკოვის ყურმოჭრილი მონებიც დადგენილებას დადგენილებაზე სცემენ, რომ დაუყონებლივ გააჩაღონ ტყეების გაჩეხა. საბჭოთა საქართველოს მთავრობა უბრძანებს სარაიონო ხელისუფლებას დაუყონებლივ გამოიყვანოს მოსახლეობა იძულებით სამუშაოზე, გარეკოს: ერთი ნაწილი ტყეების გასაჩეხათ, ხოლო მეორე ნაწილი, ვისაც ხარ-ურემი გააჩნია—მოჭრილი ხეების საზიდავათ.

ამნაირად, ქართველ ხალხს საკუთარი ხელით აჭრევიებენ საკუთარ ყელს, თითონვე ათხრევიებენ თავის სამარეს.

ეს ასე ხდება არა მარტო სატყეო მეურნეობაში და არა მარტო საქართველოში. ასეთივე ბედს განიცდის მეურნეობის სხვა დარგებიც. ასე ესმის პატარა ერების ინტერესების დაცვა დიდ რუსეთს და მის დღევანდელ მთავრობას.

ზურა.

◆

## რა დააშავა მარქსიზმა?

ერთი თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსი ამბობს: «მარქსიზმი, რომელსაც მისწრაფება ჰქონდა სინამდვილედ ქცეულიყო, იმსხვრევა. 1918 წლის შემდეგ «კომუნისტური მანიფესტი» ისეთივე ახირებული ლიტერატურული დოკუმენტია, როგორც 1793 წლის Contrat sosial ი. ჭეშმარიტი, ინსტიქტური სოციალიზმი, რომელიც ნიადაგს შეცდომით ინგლისში ეძებდა და ანტიინგლისურ თეორიად გარდაიქცა, უბრუნდება დღეს თავის ძველ გზას და ძველ მნიშვნელობას... სოციალიზმი ცხოვრების დიდი რანგის შინაარსია,—მარქსი ლიტერატურაა. ლიტერატურა ბერდება, სინამდვილე კი ან იმარჯვებს, ან კვდება»-ო.

რატომ მარქსიზმი ბერდება და არა სოციალიზმი საზოგადოდ?!. რატომ სწორედ პირველია ნიშანში ამოღებული?!. ხომ ყველამ კარგად იცის, რომ მარქსიზმი, როგორც თეორია საფუძვლად უდევს თითქმის ყველა ქვეყნების სოციალისტურ პარტიების პროგრამებს და პრაქტიკას, რაც თავის ნათელ გამოხატულებას ინტერნაციონალის მუშაობაში ჰპოულობს?!. ნუ თუ იმიტომ მხოლოდ, რომ კ. მარქსი ურია იყო?!. ქრისტეც ხომ ურია იყო, და ამან მას არ შეუშალა «ზერასიული მოძღვრება შეექმნა, რომელმაც ყოველგვარი ნაციონალური საზღვრები გადალახა?!. არა!..

სოციალიზმი, როგორც იდეოლოგია, რომელმაც ასეთი თვალსაჩინო როლი ითამაშა, თამაშობს და ითამაშებს მასსების აღზრდის, ორგანიზაციის—გათვითცნობიერების—საქმეში, რომელმაც საზოგადოებრივ ცხოვრების სინამდვილეში ამოიკითხა მშრომელი ხალხის გარდაუვალი მიზანი და ამით გულში ჩასწვდა მას,—საჭიროა, როგორც მიმზიდველი შინაარსის, წამხალისებელი ლოზუნგი...

ამიტომ გაუმარჯოს «სოციალიზმს, სწორად გაგებულს» და «ძირს მარქსიზმი, რომელმაც ეს მშვენიერი იდეა გარყვნა წაბილწა»... მარქსისტული სოციალიზმის ადგილი «ნამდვილმა სოციალიზმმა» უნდა დაიკავოს. მარქსიზმი იდეა არ არის, სოციალიზმი კი» ო და ამ უკანასკნელით თავის სახელწოდებასაც კი ჰკაზმავენ. «მეცნიერული სოციალიზმი»; «ისტორიული მატერიალიზმი» მისივე იარაღით უნდა დამარცხდეს.—ამიტომ სოციალიზმი მყობად ცხოვრების «ულრმესი შინაარსია», მარქსიზმი კი, რომელმაც «გამოიგონა» და ქვეყანას თავზე მოახვია «კლასთა ბრძოლა», ერის—მატერიულ ინტერესების მიხედვით—ჯგუფებად და პარტიებად დანაწილება და «ინტერნაციონალი» (სამშობლო რომ არა სწამს)—

«დაბერებული ლიტერატურაა», სინამდვილის მიერ უარყოფილი.—რაც ყველაზე დიდი საშინელებაა,—სწორედ მარქს-ენგელსის თეორიამ და პრაქტიკამ ნიადაგი მოუმზადა გასამარჯვებლად იმ უჯმაჯურს, რომელსაც დედა მიწის ერთს მეექვსედზე მოუკლათნია, გამომდგარა ქვეყნის შარა გზაზე და მთელ ადამიანურ კულტურას განადგურებით ემუქრება»...

და რადგან, ედუარდ ბერნშტაინისა არ იყოს, «კომუნისტურ მანიფესტის და მარქს ენგელსის სხვა (ახალგაზდობის დროის) ნაწერების ზოგიერთი ადგილები «გამოცდილ დიალექტიკოსის» ხელში, მაშინდელ პირობების ანალიზის გვერდის ახვევით, შეიძლება ისე გაიგოს ადამიანმა, თითქოს მარქსიზმი რუსულ ბოლშევიზმის, მისი ტერორისტულ დიქტატურის, მთელი მისი რეჟიმის გამართლება იყოს»—ეს შეხედულება ზოგიერთ «სოციალისტურ» წრეებში განაღდებას ჰპოულობს და ხალას ჭეშმარიტებად არის მიჩნეული. ამათ შესახებ ამბობს სწორედ კ. კაუცკი: «ამ ვაებატონებმა ან არ იციან რა არის მარქსიზმი, ან შეგნებით ამახინჯებენ მას»-ო.

დავიწყოთ აქედან. მარქსი სწერს: «სოციალ-ეკონომიური ფორმაციის განვითარება ბუნებრივ ისტორიული პროგრესია»-ო. გარდაუვალი შედეგი ამ პროცესისა სოციალიზმია—უმაღლესი ფორმა ადამიანთა საზოგადოების არსებობისა. ამ საზოგადოების განვითარება დამოკიდებულია საწარმოვო საშუალებების და მეთოდების ადამიანის მიერ გამოყენებაზე. ერის თუ მთელი კაცობრიობის წინმსვლელობა არის ადამიანის შრომის უშველებელი პროცესი, რომელსაც «ბუნებრივ აუცილებლობით» «აუცილებლობის (უთავისუფლო) სამეფოში» მყოფნი მივყავართ «თავისუფლების ქვეყანაში». ამ სვლაში ადამიანის გონებასა და ნებას—შეგნებას—გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს,—სუბიექტი ამ დიად პროცესისა არის მშრომელი, რომელიც მიზან-შეწონილად მოქმედებს თავის და ამით მთელ საზოგადოებისათვის სასარგებლოდ, საბედნიერო იდეალის განსახორციელებლად. მუშათა კლასი მის პოლიტიკურ პარტიის ხელმძღვანელობით «ორგანიული გზით, ყოველგვარ ავანტიურულ ექსპერიმენტების», ისტორიისათვის მიუღებელ თვითნებობის უარყოფით, ბუნებრივ მსვლელობით ასრულებს თავის დიდ მისიას:—შრომის განთავისუფლებით, ის «ანთავისუფლებს ჯაჭვებიდან» მთელს ერს, მთელს საზოგადოებას, ჰქმნის ყველასათვის თანასწორ გარეშე პირობებს.

და არ არის აუცილებელი, რომ ეს გზა იყოს სისხლიანი, ძალდატანებული, ასე ვთქვათ, რადგან გზა იგი არის გზა რეალ ძალთა განწყობილებისა,—«ბუნებრივ-ისტორიული»—დემოკრატიული. იმიტომ კი არ არის მეცნიერული სოციალიზმი რევოლიუციური თეორიასა და პრაქტიკაში, რომ მას ძალადობა ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში, იდეების თოფ იარაღით ცხოვრებაში გატარება ახასიათებდეს. არამედ იმიტომ, რომ ის ადამიანთა საზოგადოებრივ არსებობის ისეთ ფორმის განხორციელებას გულისხმობს, რომელიც სრული უარყოფა (კრიტიკა) და გარდაქმნაა (შემოქმედება) თანამედროვე საზოგადოებისა მისი კერძო საკუთრებით, კერძო ინიციატივით, — კაპიტალისტური წესწყობილებით. «მარქსიზმი არის, ამბობს ედუარდ ბერნშტაინი, მეცნიერული საფუძველი იმ სოციალისტურ პოლიტიკისა, რომელიც როგორც მატერიულად ისე გონებრივად სინამდვილის. ფაქტების ნიადაგზე სდგას, მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე სოციალისტური მიმართულება, ის ორგანიულ განვითარების თეორიაა»-ო.

და როდესაც მარქსიზმის და ბოლშევიზმის იგივეობაზე ლაპარაკობენ, ავიწყდებათ, რომ «მეცნიერულ სოციალიზმის მამათ-მთავრები განსაკუთრებული გაავთრებით სწორედ იმ «გაუსწორებელ რომანტიკოსებს» ებრძოდენ, რომელნიც ფიქრობდენ და ფიქრობენ დღესაც, რომ ამა თუ იმ ისტორიულ ფაზის თუ ფაზების გადახტომით, მხოლოდ სურვილის და ძალის საშუალებით, შეიძლებოდეს «აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების ქვეყანაში» თავის ამოყოფა. ამიტომ საშინელი დამახინჯებაა სინამდვილის და ჭეშმარიტების იმის თქმა, რომ რუსულ ბოსიაკური ბოლშევიზმი ძაბრის ქუდით, ამოშვებულ პერანგით, «რიკოვკით» თუ «მოლოტოვკით»... ჯიბაში, ლენინ-სტალინურ კნუტით ხელში, «ინტერნაციონალს» რომ «ნატაშკა დუშკა, ნაგაიკა-ბალალაიკას» აყოლებს. მარქსიზმი, მეცნიერული სოციალიზმია. «ბოლშევიზმი, როგორც თეორია არის დომხალი მარქსისტულ და ანტიმარქსისტულ იდეებისა,—როგორც პრაქტიკა ის მარქსიზმის პაროდია არის»-ო—ამბობს ცნობილი თეორეტიკოსი სოციალიზმისა.—ვინც მარქსიზმის და ამით საზოგადოდ სოციალიზმის წინააღმდეგ იბრძვის ბოლშევიზმის მაგალითით, «სადაც ეშმაკს მოუკლათნია»,—სჩანს მას ღმერთი დავიწყნია და ჯოჯოხეთში გადაბარგვას აპირებს.

რა დამნაშავეა მარქსიზმი, თუ მას ცალკე ჯგუფი ან პარტია თავის შინაგან რღვევის, იდეურ გაკოტრების და მორალურ დაქვეითების დასაფარავად იყენებს; რა დამნაშავეა მარქსიზმი, თუ მის ისტორიულ მეთოდს დოგმით ასალებენ. მეცნიერული სოციალიზმი თალმუდი არ არის,—რა მისი ბრალია, თუ მას ათალმუდებენ?!. ყალბად გაგებული და გამოყენებული, რუსეთის ველურ ნიადაგზე რომ ბაკუნინ-ნეჩაევ-ლენინიზმის ფორმა მიიღო და ბოლშევიკური სისხლიანი სინამდვილე მოგვცა, კაცის ჭამიაობით დახასიათებული,—ეს მარქსისტული სოციალიზმი კი, არა, მისი სრული უარყოფა, გარყვნა, გათახსირებაა.

«კომუნისტურ მანიფესტ»-ში მარქსი და ენგელსი ამბობენ: «ისტორია ადამიანთა ყველა საზოგადოებისა არის ისტორია «კლასთა ბრძოლისა»-ო. აქედან ისეთი დასკვნა გამოჰყავთ—ზოგს შეუგნებლად, ზოგს კი შეგნებულად—, თითქოს მარქსს და ენგელსს თვითონ გამოეგონოთ საზოგადოებრივი კლასები, გაეჩაღებიოთ მათ შორის ბრძოლა, დაეთესოთ მტრობა, შური, ზიზღი; თითქოს მათი აზრით «კლასთა ბრძოლა» მუდმივი, უცვლელი მოვლენა იყოს;—თითქოს სხვაგვარი ბრძოლა ადამიანთა შორის არ არსებობდეს. მარქსი და ენგელსი კი ნამდვილად სულ სხვას ამბობენ ზემოთ მოყვანილ სიტყვებით.

არის სოციალ-ისტორიული სინამდვილე—წინააღმდეგობა საზოგადოებრივ კლასთა შორის, რომელსაც აშკარა ბრძოლის ხასიათი ეძლევა—«კლასთა ბრძოლა». ბრძოლა იგი სწარმოებს მას აქეთ, რაც კერძო საკუთრებაზე აშენებული საზოგადოება არსებობს. მიზეზი ამ მოვლენისა არის ის უთანასწორობა, რომელიც დამყარებულია ადამიანთა შორის ქონების ნიადაგზე პოლიტიკურ, სოციალ და კულტურულ ცხოვრებაში. ამ მდგომარეობის სამუდამოდ გარდაქცევას, დაკანონებას სწორედ კაპიტალიზმი აპირებს. აქედან გამომდინარეობს მშრომელი კლასის ბრძოლა თანამედროვე საზოგადოების გარდაქმნისათვის თანასწორობის ნიადაგზე. «კლასთა ბრძოლა» მარქს და ენგელს არ გამოუგონიათ,—ის მათ თეორიის წარმოშობამდე არსებობდა:—მათ ის საზოგადოებრივ ცხოვრების სინამდვილეში ამოიკითხეს ისე, მაგალითად, როგორც ჩარლს დარვინმა ბუნების ცხოვრებაში «არსებობისათვის ბრძოლა» ამოიკითხა.—მათ ამოაჩინეს მოვლენა და არა გამოიგონეს. განსხვავება ამ ორ მოვლენათა შორის ის არის, რომ დარვინის «ბრძოლა» შეუგნებლად სწარმოებს, მაშინ, როდესაც მარქს ენგელსის «ბრძოლა» შეგნებულად მიმდინარეობს,—ის საზოგადოებრივი მიზანდასახული ბრძოლაა.

«არსებობისათვის ბრძოლა» ბუნების ცხოვრების შინაარსია, «კლასთა ბრძოლა» სოციალ-ისტორიულ განვითარების, დროითა და გარემოებით მიჯნა დადებული.

და აქ იშლება დიადი ისტორიული პროცესსი: მშრომელი კლასი თავისი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობით სათავეში უდგება ობიექტიურ განვითარებას და ხდება სუბიექტი ახალ საზოგადოების აღმშენებლობისა, რომელიც ათავისუფლებს საზოგადოებას უთანასწორობისაგან ქონებრივ და უფლებრივ ნიადაგზე არა ერთ რომელიმე კლასის სასარგებლოდ, არამედ ყველასათვის:—ის ჰქმნის უკლასო საზოგადოებას, შემდგარს თანასწორ უფლებიან, თავისუფალ წევრებისაგან—ანხორციელებს სოციალიზმს...

მშრომელი კლასი თავისი განთავისუფლებით ათავისუფლებს მთელს საზოგადოებას, ერს, კაცობრიობას, სპობს «კლასთა ბრძოლას», რომელიც კაპიტალისტურ წყობილების ავათმყოფობაა, მისი «წინააღმდეგობა» და ურყევ ნიადაგს უყრის ამით პიროვნების შეუჩერებელ განვითარებას... მშრომელის იდეალი უღრესად ადამიანური, უაღრესად მორალური, უაღრესად კულტურულია...

«მარქსიზმი ეროვნულ თავისუფლების, მისი დამოუკიდებელ არსებობის წინააღმდეგია. მას სამშობლო არ სწამს, რადგან «მშრომელს სამშობლო არ აქვს»-ო. მარქსისტული სოციალიზმი ინტერნაციონალურია და ამიტომ ანტინაციონალურიო.—მარქსიზმი კი ამბობს: «ინტერნაციონალიზმი ნიშნავს იმ პრინციპის ცნობას, რომ არსებობს დიდ ინტერესთა ერთობა,—კავშირი ერთა შორის, რაც მათ სუვერენ უფლების ცნობას ნიშნავს ეროვნულ დამოუკიდებლობაზე, თავისუფალ არსებობაზე»-ო ამას თვით სიტყვა ინტერნაციონალი—სა-ერთა-შორისო—ამტკიცებს. მარქსიზმი არას დროს ყოფილა ერის თავისუფალ განვითარების, მისი დამოუკიდებელ არსებობის წინააღმდეგი. «მეცნიერულ სოციალიზმის» მამათმთავრები გადაჭრილ გარდაწყვეტილებით ესალმებოდენ და უჭერდენ მხარს: იტალიის და პოლონეთის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის; განსაკუთრებული თანაგრძნობით და აღფრთოვანებით იხსენიებენ ისინი იმ გმირულ ბრძოლას, რომელსაც «კავკასიის არწივი» შამილი თავის მიუვალ მთებში რუსების წინააღმდეგ აწარმოებდა.

1870-71 წლების ომის დროს მარქსი და ენგელსი იმ აზრისა იყვნენ, რომ გერმანიის მუშათა კლასმა ენერგიულად უნდა დაუჭიროს მხარი ეროვნულ თავისუფლებისათვის ბრძოლას და მანამდე, სანამ ომი თავდაცვით ხასიათს ატარებს, გერმანიის დამოუკიდებლობას ემსახურება და საფრანგეთისას არ ემუქრება, მან მასში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს-ო. 1870 წელს 9 დეკემბერს ე. ი. მეცის, სუდანის დაკარგვისა და საფრანგეთში რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, მარქსმა ინტერნაციონალის გენერალურ საბჭოს საგანგებო სხდომაზე შემდეგი განაცხადა: «გერმანიის მშრომელმა კლასმა მხარი დაუჭირა ომს (რომლის თავიდან აცილება მას არ შეეძლო), როგორც ისეთ ომს, რომელსაც უნდა დაეცვა გერმანელ ხალხის თავისუფლება და დამოუკიდებელი არსებობა საფრანგეთის მეორე იმპერიის (ბონაპარტისტულ) მძიმე უღლიდან»-ო. ოთხმოცდაათიან წლების დასაწყისში, როდესაც რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო კავშირს საძირკველი ჩაეყარა და ომის საფრთხე ერთხელ კიდევ წამოიჭრა დაშინებულ ევროპის წინაშე, ენგელსი ასე სწერდა მის მეგობარს ზორგეს: «ამ საკითხის შესახებ მე და ბებელს მიწერ-მოწერა გვქონდა და ორივე იმ აზრისა ვართ, რომ თუ რუსეთმა ჩვენ (გერმანელებს) ომი გამოგვიცხადა, გერმანელი სოციალისტები (ე. ი. მარქსისტები) დაჰკრავენ მას და მის მოკავშირეებს, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი»-ო. ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რა განცხადება გააკეთა ბებელმა რაიხსტაგში სამშობლოს თავდაცვასა და მის თავისუფლების შესახებ...

დიდმა ომმა ნათლად დაამტკიცა, თუ რა თავგამოდებით შეუძლია «მარქსიზმით მოშხამულ» და ინტერნაციონალიზმით გზა-აბნეულ, უსამშობლო» მუშას სამშობლოსათვის ბრძოლა. არა ნაკლებ დამაჯერებელ მაგალითებით უჩვენა ქვეყანას «მარქსიზმით მოწამლულმა» ქართველმა ხალხმა, თუ როგორის გმირობით შეუძლია მას იმ პარტიის ხელმძღვანელობით, რომელმაც მას «სამშობლო შეაძულა» ამ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, მის კვლავ აღდგენისათვის ბრძოლა სწორედ იმ დამპყრობელის წინააღმდეგ, რომელმაც მას «მარქსისტულ სოციალიზმისა» და «კომუნიზმის» სახელით კისერზე მეორედ დაადგა რუსული უღელი.

მაგრამ თუ მარქსიზმი მომხრეა და მტკიცე დამცველიც ეროვნულ-პატრიოტულის,—ის გადაჭრით წინააღმდეგია ეროვნულ-შოვინისტურის, რომელიც მხოლოდ «თავის ცხოვრების ინტერესებზე» ლაპარაკობს და სხვისას ყურადღებას არ აქცევს, მხედველობაში არ იღებს...

როდესაც ბისმარკ-მოლტკემ სწორედ იმავე «უსამშობლო პატარა კაცის» თავგანწირულ მამაცობით მეცი და სედანი დაიკავეს,—როდესაც გერმანიის ჯარი პარიზს უახლოვდებოდა და ფერრი სასოწარკვეთილებით გაიძახოდა: რესპუბლიკა ერთ პატარა ნაჭერ მიწასაც არ დაუთმობს მტერსო,—პრუსიის მეფის (მან 18 იანვარს 1871 წელს ვერსალის სასახლეში გაერთიანებულ გერმანიის იმპერატორის გვირგვინი მიიღო) საგარეო სამინისტრომ საქვეყნოდ განაცხადა, რომ ომის შედეგი ელზას-ლორენის ანექსია იქნებაო. გერმანელი მარქსისტები და დიდი სოციალისტები ბებელი და ლიბკნეხტი გერმანიის მუშათა კლასის სახელით წინააღუდგენ ამ პროვინციის საკითხის ძალით, იარაღის საშუალებით გადაჭრას სწორედ გერმანელ ხალხის ინტერესების მიხედვით. ჯერ კიდევ 17 აგვისტოს 1870 წელს მარქსი სწერდა ენგელსს: «ელზას-ლორენის ანექსიისათვის წარმოებული პროპაგანდა უდიდესი უბედურებაა, რომელიც კი ოდესმე დატყდომია თავს გერმანიას»-ო.—გერმანელი მარქსისტები ეროვნულ-პატრიოტული და ერთა-შორის კეთილ განწყობილების ჩამოგდების თვალსაზრისით წინააღმდეგი იყვნენ უცხო ტერიტორიის ადგილობრივ მოსახლეობის სურვილის წინააღმდეგ შემოერთებისა, რაც მთელ ისტორიის გასწვრივ მტრულ დამოკიდებულებაში მყოფ ორ მეზობელ ერს კიდევ უფრო გადაჰკიდებდა და ახალი ომის საბაბი შეიქნებოდა... ბებელი და ლიბკნეხტი «ღალატისათვის» ციხეში ჩასვეს.

ვინ გაამართლა ისტორიამ?!..

მარქსი ერთ წერილში სწერს თავის მეგობარს: ... «და მაშინ ჩვენ წარვსდგებით ქვეყნის წინაშე არა დოქტრინალურ ახალ პრინციპით: აქ არის სიმართლე, აქ ყველამ უნდა დაიჩოქოს! ჩვენ ვანვითარებთ ადამიანურ პრინციპებიდან შობილ ახალ პრინციპებს»-ო.

მარ-იძე.

◆

## ბ. რ. გაბაშვილის მოხსენების გამო

ბ. რ. გაბაშვილმა თავის საჯარო ორ მოხსენებაში სხვათა შორის ილაპარაკა იმის შესახებ თუ რა საბედისწერო იყო ჩვენი ქვეყნისათვის თფილისის დატოვება და ისიც მაშინ, როცა ამას აუცილებლობა არც კი მოითხოვდა და რომ ეს უდიდესი საპასუხისმგებლო კითხვა გადასწყვიტა ორმა კაცმა—მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიამ და სარდალმა გენ. კვინიტაძემო.

იმავე მოხსენებაში მან განაცხადა და თან რუკაზე აჩვენა დამსწრეთ სად იყო დაბანაკებული ჩვენი ჯარები ბორჩალოში, ეკატერინოფელდის რაიონში და დაუმატა:—ჩხენკელი რომ არ ჩარეოდა და მისი ბრძანებით ჯარები არ გადაეჯგუფებიათ, ჩვენ სომხები ვერ დაგვამარცხებდენ და იმდენ ზიანს ვერ მოგვაყენებდენ. წინააღმდეგ სარდლის განკარგულებისა, მან გასცა ბრძანება ჯარების სხვა პოზიციებზე გადაყვანისა. ეს იყო ჯარების ნამდვილი დაფანტვა და აკი ასე სამარცხვინოთ დაგვამარცხეს სომხებმაო.

ჩვენ საჭიროთ დავინახეთ ზემოთ თქმულის შესახებ წერილობით მიგვემართა განმარტებისათვის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიასათვის და აკ. ჩხენკელისათვის.

მთავრობის თავმჯდომარემ გვიპასუხა შემდეგი:

თქვენ მიერ მომართულ წერილობითი შეკითხვაზე 1921 წლის თებერვლის ამბების შესახებ ამ ჟამათ შემიძლია მოგახსენოთ მხოლოდ შემდეგი:

ომის მსვლელობაში მე ჩვეულებათ მქონდა ყოველ საღამოს შევსულიყავი სამხედრო შტაბში და მთავარ სარდლისაგან მიმეღო ცნობები ფრონტის მდგომარეობაზე და ომის მსვლელობაზე. 24 თებერვალს საღამოსაც შევედი შტაბში, მთავარ-სარდალთან. იქ დამხვდა ლენ. ოდიშელიძე, პოლკოვნიკი გედევანიშვილი, რომელიც მდივანის მოვალეობას ასრულებდა და თვით მთავარ სარდალი, რომელიც ბრძოლის ველის რუქას მისჩერებოდა და ჩემსკენ არც კი მოუხედნია. მე ჩამოვჯექი მაგიდასან და უცდი. უცებ შემოტრიალდა სარდალი და მითხრა რუსულათ: ია ოტსტუპაიუ, მე უკან ვიხევ და დაუწყო საამისო კარნახი თავის მდივანს. ჩემს შეკითხვაზე, რაშია საქმე, რა მოხდა, მან მომცა შემდეგი განმარტება (მომყავს დაახლოვებით მისი სიტყვები):

არა ერთხელ მითქვამს ჩვენი ფრონტის სიგრძეზე და მისი დაცვის შეუძლებლობაზე არსებული ძალებით. ჩემი შიში სამწუხაროთ გამართლდა, ჯარები გვყავს დაფანტული დიდ მანძილზე, მაგრამ მტერს ჯარი მეტი ყავს და ახერხებს ჩვენი ფრონტის შემოვლას. დღეს დილით გადმოვიდენ კოჯორის გზით საბურთალოზე მათი წინა რაზმის მზვერავების ერთი ჯგუფი. ისინი უკუვაქციეთ რასაკვირელია, მაგრამ ეს ნიშნავს იმას რომ გადმოსავალი გზა თავისუფალია, ჩვენი ჯარი იქ არ დგას. სამხედრო მეცნიერება ამბობს, სადაც ჯგუფი გადმოვა, იქ როტაც გადმოვა, ხოლო სადაც როტა—იქ ბათალიონებიც გადმოვაო. ამ ნაირათ საბურთალოს მხრით ამაღამ უნდა ველოდეთ მტრის მოსვლას. მეორე მხრითაც მდგომარეობა ამ გვარია, ვაზიანში მტერია დაბანაკებული, დილითვე ავჭალას დაიჭერენ და ასე ორი მხრით მოვემწყვდევით რკალში, საიდანაც ჯარი კი არა, ერთი კაციც ვერ გავა; უკან დახევა ჩვენი ხსნააო.

შემდეგ რა იქნება, შევეკითხე სარდალს. უკან დახევის შედეგი იქნება, მომიგო მან, პირველ ყოვლისა ფრონტის შემოკლება და მთელი ჩვენი ჯარის მცირე მანძილზე დაყენება: ფრონტი გვექნება ავჭალა-მცხეთას შორის, იქ მაღლობზე დავაწყობთ ჩვენს არტილერიას და მტერს არ შემოუშვებთ თფილისში. თფილისის დაცვა უკეთ იწარმოებს ქალაქის გარედან ვინემ ქალაქშიო.

ლენ. ოდიშელიძე შეედავა, მაგრამ სარდალის მიზეზები ვერ უარყო, გამოდიოდა რომ მტრის რკალში ვიმყოფებით და შიგ უნდა დავრჩეთ. შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.

ამ ჩვენ საუბარს დაესწრო გარდა ზემოთ აღნიშნული პირებისა ჩემი ადიუტანტი კ. იმნაძე.

სარდლის სტრატეგიულ განკარგულებაში კანონით ვერავინ ვერ ჩაერევა, ვერც მთავრობა, ვერც სხვა რომელიმე პირი თუ დაწესებულება. მთავრობას შეუძლია მხოლოდ სარდალის გადაყენება და ახალის დანიშვნა, მაგრამ ვინც იქნება, ის არის ერთათ ერთი გამკარგულებელი და პასუხისმგებელი.

მოვისმინე რა სარდლის განმარტება და მისი საომარი ბრძანება, მე უსიტყვოთ და უკამათოთ გამოვეთხოვე და გამოვექანე სასახლეში. სარდლის ბრძანებით მთელი ჩვენი ევაკუაცია უნდა დასრულებულიყო ღამის სამ საათამდე, რომ ჯარებს შესძლებოდა თავისუფალი მოძრაობა.

მე იმდენათ დარწმუნებული ვიყავი, რომ უკან დახევა ნიშნავს არა ომის გათავებას, არამედ ახალი უფრო მკვეთრი ფრონტის შექმნას და ჯარის სამისო გადაჯგუფებას, რომ მაშინვე დავსწერე მიმართვა თფილისის მცხოვრებლებისადმი, დავაბეჭდვიე და დავარიგებიე. მიმართვაში ავსწერდი მნიშვნელობას უკან დახევისას, თანახმათ სარდლის განმარტებისა და ვპირდებოდი რამოდენიმე დღეში უკან დაბრუნებას.

მე მაკვირვებდა მთავარსარდლის განკარგულება დახევის შესახებ ფრონტის სარდალთა დაუკითხავათ და მათთან თათბირის გარეშე. ამიტომ შევეკითხე ოდიშელიძეს, რამდენათ კანონიერია ასეთი პირადი განკარგულება. მან განმიმარტა, რომ კანონით მხოლოდ მთავარსარდალია მბრძანებელი და პასუხისმგებელი, მის საომარ განკარგულებაში ვერავინ ვერ ჩაერევა და ვერც ვერავინ შეაჩერებსო.

მე გამოვედი თფილისიდან თითქმის უკანასკნელი, ჩემს უკან მხოლოდ მთავარსარდლის მატარებელი გამოვიდა. ვაგონში დამძინოდა და უცებ გამომეღვიძა სადგურ კასპის იქით. მე გავიკვირვე, უნდა გავჩერებულიყავით მცხეთაში. მატარებელი უკან დავაბრუნებიე მცხეთისაკენ და გზაზე შევეჩეხე ჯარისკაცებს უპატრონოთ, არეულ-დარეულათ ჩქარის ნაბიჯით მომავალთ. მატარებელი გავაჩერე და შევეკითხე მათ, სად მიდიან, მცხეთაში რატომ არ დარჩენ. მათ მომიგეს, რომ მარტო ისინი კი არა ყველა აქეთ მოდის, მთელი რკინის გზის ლიანდაგი ჯარისკაცებით დაფარულია, მცხეთაში მათ არავინ დახვედრია, არც ბინა, არც უფროსები, არც საჭმელი, არც რაიმე პოზიცია; შემომჩივლეს, რომ მათი ოფიცრები დახევის შემდეგ მათ აღარ უნახავთ და ივლიან მანამდე, სანამ მათ ვინმე არ შეაჩერებს...

ახლა გამოირკვა ჩემთვის, რომ მოხდა არა ჯარის დახევა, არამედ ჯარის უპატრონოთ დატოვება და მისი დაშლა. როგორ მოხდა, ეს რატომ არ იქნა შესრულებული მრავარსარდლის ბრძანება—ეს გამოსარკვევია. რატომ ჯარი არ გამოვიდა მწყობრათ, არ დაბანაკდა ნაბრძანებ პოზიციებზე, რატომ არ იყო მიღებული საამისო წინასწარი ზომები და მრავალი სხვა ამ საქმესან დაკავშირებული საკითხები ითხოვენ გამოძიებას და სათანადო გაშუქებას. რამდენათ ამ მხრით უმწეო იყო მდგომარეობა სჩანს იქიდან, რომ სამხედრო საველე სასამართლოს თავმჯდომარეთ იძულებული ვიყავით დაგვენიშნა სამოქალაქო პირი—ვიკტორ ჟღენტი.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას თფილისის დატოვების მნიშვნელობაზე, უნდა მოგახსენოთ რომ ვისაც კი რაიმე გაუგონია ჩვენი ისტორიიდან, უეჭველია, ეცოდინება რომ თფილისის დატოვება არასოდეს არ ნიშნავდა საქართველოს დატოვებას. საკითხი შეიძლება დაისვას, მაშასადამე, არა ამ სფეროში, არამედ წმინდა სტრატეგიულ მასშტაბში—რამდენათ აუცილებელი იყო თფილისის დატოვება, რატომ ვერ მოხდა ჯარის მწყობრათ გადაყვან-გადმოყვანა და ახალი ფრონტის შექმნა.

აკ. ჩხენკელმა გადმოგვცა შემდეგი:

მე დავესწარი ბ. რევაზის მოხსენების პირველ ნახევარს, ხოლო მეორე ნახევარის წაკითხვის დროს, სამწუხაროთ, პარიზში არ ვიყავი. მართალია, ჩემამდინაც მოაწია თავის დროზე ხმებმა ვითომ გენ. ოდიშელიძე რაღაც ბრალს მდებდა, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია, და ვერც მივაქცევდი მის გარდაცვალების შემდეგ. პირველათ მხოლოდ ბ. რევაზისაგან გავიგე გარკვევით რაში მდგომარეობდა ეს ბრალდება და სრულიად გაოცებული დავრჩი, რაიცა კიდეც გამოვხატე რეპლიკით ადგილიდან. მე მაშინ არ ვფიქრობდი, რომ ისე ჩქარა მომიხდებოდა პარიზიდან წასვლა და ამიტომ ჩემი საჯარო პასუხი მეორე კრებისათვის გადავდევი. თქვენი შეკითხვიდან გამოდის, რომ ბ. რევაზს გაუმეორებია იგივე, რამაც კიდევ უფრო გამაოცა, რადგან მე მქონდა შემთხვევა კერძოთ მელაპარაკნა მასთან, მისი პირველ გამოსვლის მეორე-მესამე დღეს და გამერკვია რამდენათ ცდებოდა ის.

მე ვიყავი ბორჩალოში—განაგრძობს აკ. ჩხენკელი—ნოემბრის დამლევს თუ დეკემბრის დასაწყის 1920 წ., როცა ჩემი ელჩად გამომგზავრება დასავლეთში გადაწყვეტილი იყო, თუმცა მთავრობის დადგენილება ჯერ კიდევ არ არსებობდა ფორმალურათ. წაველი ჩემი თაოსნობით, არ მქონდა მონდობილება არც სამხედრო კომისიის, არც ჩვენი ფრაქციის, რომელთა თავმჯდომარე მე ვიყავი, და მინდოდა, სანამ აქეთ წამოვიდოდი, ერთგვარი წარმოდგენა მქონოდა ჩვენი თავდაცვაზე ბორჩალოს და ფოილოს მხრით. ამ მოგზაურობის დროს მე ვნახე ჩვენი ჯარის თუ გვარდიის ზოგიერთი ნაწილები, კარგი შთაბეჭდილებაც მახსოვს ამაზე, გენერლებიდან შევხვდი სუმბათაშვილს და ჯიჯიხიას,—მაგრამ ჩემი ნამდვილი განზრახვა იყო უშუალოთ დავკვირებოდი იქაურ ჭრელ მოსახლეობას: თათრებს, რუსებს, გერმანელებს, სომხებს, ქართველთა ორიოდე სოფელში არც კი მისულვარ. დასახელებულ სოფლებში სათითაოთ, მე სტუმრად ვიყავი, ღამეს ვათევდი და მქონდა ფრიად საინტერესო ბაასი.

სომხებთან გამობაასებამ მე დამარწმუნა, რომ გარედან გავლენას ახდენდენ მათზე, ათას შეუწყნარებელ ხმებს ავრცელებდენ ტფილისის ხელისუფლებაზე... ეს ისე აშკარა იყო ჩემთვის, რომ ზოგჯერ თვით ეს გარედან მოსულნი გვერეოდენ ბაასში და კამათიც პოლიტიკურ ხასიათს იღებდა. ასევე იყო, მაგ., ვორონცოვკაშიც, სადაც ბოლშევიკებს შევხვდი ტფილისიდან. მე მივიღე შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი თავის რიგზე არ იყო ბორჩალოში: როგორც სომხებს ისე რუსებს ეტყობოდათ სისტემატიური დამუშავება გარედან და მათი ერთგულობა საეჭვო გახდა ჩემთვის.

ტფილისში დაბრუნებისას ჩემი შთაბეჭდილებანი არ დამიმალავს, თუ არ ვცდები, სამხედრო კომისიასაც გავუზიარე ისინი, გენ. ოდიშელიძესაც, არ მახსოვს, იქვე კომისიაში თუ სამინისტროში, შეიძლება ჩემ ბინაზედ, მის ბინაზედ კი მე ერთხელაც არ ვყოფილვარ, წინააღმდეგ ბ. რევაზის ვერსიისა. რა იყო ჩემი დასკვნა? ისა, რომ საჭიროა სომხების სოფლების მახლობლათ, მათ დასანახავათ, იდგნენ ჯარის კაცნი; ცდუნება დიდია, არ იფიქრონ მთავრობა უმწეოა და რამე არ გაბედონ მეთქი. ეს იყო და ეს, ლაპარაკი იყო ერთ-ორ წყობაზე, მაქსიმუმი ასეულზე, და მოვითხოვდი არა მათი სოფლებში «ჩასახლებას», როგორც ეხლა ბ. რევაზი მაწერს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც მუდამ ვებრძოდი, არამედ შორი-ახლო დაბინავებას.

აი, არსებითათ და უკლებლივ ის ეპიზოდი, საიდანაც ასეთი მძიმე ბრალდება შეუთხზავს, თუ ბ. რევაზს დავუჯერეთ, გენ. ოდიშელიძეს. შეიძლება ბევრი რამ მიაწერო ადამიანს, თვით გულთმისნობაც (1920 წ. დამლევს მე ვერ გავითვალისწინებდი მომავალ თავდასხმის ხაზებს), მაგრამ არა ისეთი სიბრიყვე, როგორიცაა ჯარების გადაჯგუფება, საომარ გეგმის გადასინჯვა და მთელ თავდაცვის საქმის თავდაყირა დაყენება! ჯერ ერთი, მე არ ვიყავი მთავრობის წევრი, არც შტაბის ღენერალი, როგორ შემეძლო ბრძანების გაცემა? ან კიდეც რომ გამეცა—ვინც მიცნობს უთუოთ გადიხარხარებს—, განა გენ. ოდიშელიძე, თვითონ სამხედრო მინისტრის თანაშემწე, უნდა დამორჩილებოდა მას? მართალია, არც ბ. რევაზია ღენერალი, მაგრამ ამ უბრალო რამის გასაგებათ განა ეს ხარისხია საჭირო? მგონი, არა.

ვსარგებლობ შემთხვევით აქვე განვაცხადო ორი რამ: 1) ჩემი დასავლეთში გამომგზავრებამდე მე შემთხვევა მქონდა მეთქვა კერძოთ ვისთვისაც ჯერარს, რომ არ ვიყავი მომხრე გენ. ოდიშელიძის სარდლად დანიშვნის. ეს არა იმიტომ, რომ ნება მიმეცა ჩემი თავისთვის იჭვი შემეტანა მის ცოდნა-გამოცდილებაში—მის პირველათ კავკასიის ფრონტზედ დანიშვნაში მონაწილეობაც კი მიმიღია—, არამედ იმიტომ, რომ მასში ვერ ვპოულობდი იმ მტკიცე ნებისყოფას, რაიცა ასე აუცილებელია სარდლისათვის; და 2) როცა გენ. სოსო გედევანიშვილს ბორჩალოს ხაზის სარდლად ნიშნავდენ, მე ამას აშკარათ შევებრძოლე, მან ეს იცოდა და არც მეკარებოდა, თუმცა კიდევ მეტეხის ციხიდან ვიცნობდი მას. ეხლა კი გამოდის ბ. რევაზის სიტყვებიდან, რაც თვითონ ვისმინე, მე მისთვისაც «მიბრძანებია გადაჯგუფება»!

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ მაინც ვიტყვი დასასრულ—ათავებს აკ ჩხენკელი—, რომ არ მოველოდი სწორეთ ბ. რევაზისაგან ასე საჯაროთ თავდასხმას. ჩვენ ვართ ერთს ორგანიზაციაში, გვაქვს საშუალება და კარგი დამოკიდებულებაც. რომ ასეთი შეცდომები თავიდან აგვეცდინა. განა მარტო შეცდომაა ეს? მე კი მინდა ასე იყოს, თუმცა ვერ დავმალავ ერთ შიშს: ვაი თუ ამა თუ იმ პირის ასე საჯაროთ გაბახებას სხვა რამე განზრახვა ედოს სარჩულად. შეიძლება კალამი დამიჩლუნგდა და საპოლემიკოთ არ გამოვდგები, მაგრამ ჩემდა თავად მე ეს მირჩევნია, ვინემ ახალ-ახალი გამთიშავი, სრულიად უსაფუძვლო ბრალდებები შევთხზა ამ არაჩვეულებრივ საპასუხისმგებლო მომენტში.

უნდა ვიფიქროთ რომ ამ განმარტებებით ბოლო მოეღება იმ ლეგენდებს, რომელიც ასე უხვად ვრცელდება დაინტერესებული პირების მიერ აღძრულ კითხვებთან დაკავშირებით.

გრ. ურატაძე.

---

# მცირე განმარტება

ბ. მანველიშვილი შემნიშნავს («მომავალი» № 3), რომ ჩემი ცნობა—საქართველო არ იღებდა მონაწილეობას ჯვაროსანთა ომში, არ შეეფერება ისტორიულ სინამდვილესო. ამის საბუთათ მოყავს ორი ამბავი: ჯვაროსანთა ომების დროს დავით აღმაშენებელი ამარცხებს საქართველოში არაბ-თურქებსო, რუსუდან დედოფალი წერილით ატყობიებს რომის პაპს, რომ ისინი მზათ იყვენ დასახმარებლათ, მაგრამ ხელი შეუშალა გარეშე მტერთა შემოსევამო.

ორივე ეს ფაქტი, როგორც დავითის ბრძოლა ისე დედოფლის წერილი, მართალი ამბავია, მაგრამ ნიშნავს ეს იმას რომ საქართველო მონაწილეობას იღებდა ჯვაროსანთა ომებში, თვით გახდენ ჯვაროსნები? რასაკვირველია არა და სწორეთ ამას ამტკიცებს ბ. ავალიშვილი თავის წიგნში «ჯვაროსანთა დროიდან», რაზედაც ვემყარები მეც და ბ. მავლენიშვილიც.

თუ შემოსეულ მუსულმანურ ლაშქართან ბრძოლას ჯვაროსანთა ომი ეთქმის, ამ შემთხვევაში საქართველო მუდამ ჯვაროსნები იყვენ. ნამდვილათ კი ჯვაროსნობა განსაკუთრებით—ეპიზოდია ხალხთა ისტორიიდან და ეწოდება იმ პერიოდს, როცა რომის პაპის მოწოდებით ევროპიელებმა გაილაშქრეს «წმინდა ქალაქის—იერუსალიმის» გასანთავისუფლებლათ «უსჯულოებისაგან». საქართველოში შემოსეული თურქთა ლაშქარის დამარცხება, რომ იერუსალიმის განთავისუფლებას არ ნიშნავდა—ეს მგონი გასაგები ამბავია. ბ. ზ. ავალიშვილი ხაზგასმით სწერს: «ჯვაროსანთაგან არც ხსნას და შველას მოელოდა საქართველო, არ საჭიროებდა იმ დროს მათ დახმარებას და არც ფიქრობდა მათთან კავშირზე. მისი პოლიტიკის მიზანი, ფარგალი და საშუალებანი სულ სხვა იყო» (გვ. 62). ეს პოლიტიკა ყოფილა საერთო კავკასიური, მთელი კავკასიის გაერთიანება საქართველოს მეთაურობით (გვ. 46). ავტორი უპირდაპირებს ჩვენს მაშინდელ საგარეო პოლიტიკას სომხეთისას:

«სომხეთის ახალშენმა კილიკიაში, ხმელთა-შუა ზღვისაკენ მიმართულმა. პიზა-გენუა-ვენეციის ხომალდთა სამფლობელოსაკენ, პირიქით სწორეთ და ვით მეორეს დროიდან მოყოლებული მოისურვა თავის მომავალი ფრანგთა კავშირზე დაეყრდნო, და ჯვაროსან სამთავროთა ბედს საკუთარი არსებობა შეუერთა. ამისი დაბოლოვება მე 14 საუკუნის დიდი კატასტროფა იყო, რომლის განმეორება ანუ გაგრძელება, იქვე კილიკიაში და სხვაგან, სხვა სახით, უკვე ჩვენს დროს 1914-1924 წ. უკიდურესი დრამით ამნაირათვე დასრულდა» (გვ. 63).

დავით აღმაშენებელის საგარეო პოლიტიკა, როგორც ხედავთ, იყო მეტათ რეალისტური, კავკასიური და ავანტიურას და ფანტაზიას სავსებით მოკლებული.

ბ. მავნელიშვილის მეორე საბუთი ლაპარაკობს მხოლოდ პლანზე, სურვილზე და არა ფაქტებზე. ეს არის ჩვეულებრივი დიპლომატია, მობოდიშება, ცარიელი სიტყვებით მეგობრობა და სხვა არაფერი. ამიტომ სრულიად მართალია ბ. ავალიშვილი როცა სწერს: «მიუხედავათ იმისა რასაც რუსუდანის წერილში ვკითხულობთ, ლაშა-გიორგის და მისი წრის ჯვაროსნობი ფრიად საეჭვოა» (გვ. 146).

ამ ძველ ამბებზე ბაასი გავაბი უმთავრესათ იმიტომ, რომ ამათ მეტათ აქტუალური მნიშვნელობა აქვს დღეს ჩვენთვის...

ნ. ჟ.

---

# უნაყოფო ცდა

ევროპის ზოგ ქვეყნებში ფაშიზმის და რეაქციის გამარჯვებამ ქართულ ემიგრაციის ერთ ნაწილს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში, წონასწორობა დაუკარგა და ის მრავალ ფანტასტიურ და ავანტიურისტულ ზრახვების მორევში გადააგდო.

ზოგ გზა აბნეულ ქართველ ემიგრანტს ევროპაში მომხდარ ამბების ზეგავლენით მადა გაეხსნა და ყოვლათ უნიადაგო იმედები გაეღვიძა. მათი მიზანი და სურვილია სხვადასხვა ძალებს გადაებან, მით ზურგი გაიმაგრონ და ამ გზით ქართველ სოც.-დემოკრატიას შეებრძოლონ. მაგრამ მათ რომ ვინმემ ყურადღება მიაქციოს, ამიტომ საჭიროა თვით ეს ქართველი ემიგრანტები რამე წონა-ღირებულებას წარმოადგენდენ და მათ უკან შესაფერი ძალა იყოს დარაზმული. და აი ისინიც ეხლა ქართულ ემიგრაციას საერთო მტრის წინააღმდეგ დარაზმვის და გაერთიანებისაკენ მოუწოდებენ.

ვინ არის ეს საერთო მტერი?

არ იფიქროთ, რომ ის ბოლშევიკები და ჩვენი ერის დამპყრობელი საბჭოთა რუსეთი იყოს.

ბ-ნ კედიას აზრით ეს საერთო მტერი ქართველი მარქსისტები და სოც.-დემოკრატები არიან. «გუშაგის» მეხუთე ნომერში მოთავსებულია მისი დიდი გოდება, რომ ქართული ნაციონალისტური წრეები დაყოფილია რამოდენიმე პარტიებათ, თვით ეს პარტიები კი ცალცალკე ჯგუფებათ და ქვე-ჯგუფებათ და ამ პატარ-პატარა გუნდებთა შორის არსებობს ერთმანეთის დაუნდობელი წიწკნა და დამცირება. თუ არ გვინდა მორალურათ მოვტყდეთ და მოვიშალოთ და პოლიტიკურ არარაობათ ვიქცეთ, განაგრძობს ბ-ნი კედია, დღეს ყველამ თავი უნდა მოვიყაროთ ერთ ეროვნულ ორგანიზაციაში და ერთი მეთაურობის ქვეშ და ქართველ სოც.-დემოკრატიას და ქართველი ერის დღევანდელ მეთაურობას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოთო. თან თავისი «ლაშქარი» რომ გაათამამოს და ბრძოლისათვის წაახალისოს, ის მოგვითხრობს ქართველ სოც. დემოკრატიის სისუსტე და მის მიერ პოზიციის პოზიციაზე დათმობაზე. ქართული ნაციონალიზმი აღმატებულა, მას ქართველი ხალხის გული დაუპყრია და გაუმარჯვნია. სოც. დემოკრატია კი თურმე დამარცხებულა და ის დღეს არაფერს წარმოადგენს.

მაგრამ ეს ხომ ძველი ზღაპარია.

როცა ბ ნი კედია 1923 წლის დასაწყისში საქართველოდან ევროპაში ჩამობრძანდა, ის იმ დროსაც ამ ბრძნულ ამბების სინამდვილეთ გასაღებას ცდილობდა.

მან სტამბოლში ინახულა საფრანგეთის საელჩოს მდივანი და მას ყოვლათ ყალბი ინფორმაცია მიაწოდა. ინფორმაციის მოკლე შინაარსი იყო: ქართულ მთავრობას, რომელიც იმყოფება ევროპაში, საქართველოში დაეკარგა ყოველივე ნდობა და ავტორიტეტი, დასუსტდა და თანდათან ქრება ის პარტიაც, რომლის წიაღიდან იშვა ეს მთავრობა; გაჩნდა ახალი ძალა—ქართული ნაციონალიზმი, ეს მიმართულებაა დღეს გაბატონებული ჩვენ ქვეყანაში და გთხოვთ ამიერიდან საქმე მის წარმომადგენლებთან იქონიოთო.

საელჩოს მდივანმა ბ-ნ კედიას განუცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობას და საელჩოს ქართულ ნაციონალურ მთავრობასთან და მის წარმომადგენლებთან ქონდა კავშირი და, თუ ბ ნ კედიას რაიმე ინფორმაცია ექნებოდა მომავალში გადასაცემათ, მისთვის ეს ამ ოფიციალური გზით მიეწოდებია.

საფრანგეთის საელჩოს მდივანმა ეს მისი ბ ნ კედიასთან საუბარი გადმომცა, როგორც იმ დროს ქართულ ნაციონალური მთავრობის წარმომადგენელს სტამბოლში. ამის შემდეგ მალე ბ ნ კედიასთან მქონდა ლაპარაკი ამ ფაქტის შესახებ. ჩვენ ლაპარაკს დაესწრო აგრეთვე მისი ორი პარტიული ამხანაგი.

ბ ნ კედიას იმ დროს ვეკითხებოდი, თუ გრძნობდა ის, რომ მისი ასეთნაირი სეპარატიული გამოსვლა და პარტიულათ დაპირდაპირება ჩვენი ეროვნული მთავრობის და საქართველოში მომქმედ მთავარ პარტიისადმი საზღვარ გარეთელ ჩვენი მუშაობას არევდარევის და დაქსაქსულობის მეტს არაფერს მოუტანდა. თუ იცოდა მან, რომ უცხო სახელმწიფოებს ყავდათ თავიანთი წარმომადგენლები, ან აგენტები საქართველოში, პირდაპირ იღებდენ მათგან შესაფერ ინფორმაციას და ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას კარგათ იცნობდენ. ამიტომ უცხოელებისათვის ყალბი და ტენდენციოზური ინფორმაციის მიწოდება ვერავითარ კარგ შედეგს ბ-ნ კედიას ვერ მისცემდა. ვეუბნებოდი აგრეთვე, რომ მას და სხვებს არ უნდა ქონებოდათ დიდი ილიუზიები იმის შესახებ, რომ ქართული სოც.-დემოკრატია ასე ადვილათ მოისპობოდა და გაქრებოდა.

ათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ბ-ნ კედიას ამ მხრივ დღემდინ დიდი არაფერი დაუნახავს და უსწავლია. ის დღესაც დიაკვანივით იმეორებს იმას, რასაც ამ ათი წლის წინეთ ამბობდა და იმავე «გუშაგის» ნომერში კიდევ უფრო სასაცილო რამეებს სწერს.

«ქართველი სოც. დემოკრატია იარაღს ხელიდან არ უშვებს, გამარჯვებულ მოპირდაპირეს ცოცხლათ არ ნებდება და ბრძოლას განაგრძობს»... «აქედან წარმოსდგება ორგანიული შეუძლებლობა სრული ეროვნული ერთობის მიღწევისა დღევანდელ პირობებში»... სოციალდემოკრატია «რამდენათ იგი ჯერ კიდევ დაუმარხავი მიცვალებულია, ხელს უშლის საერთოთ ქართველობის და კერძოთ ემიგრაციის ეროვნულ სიმთელეს»ო, გვეუბნება ბ ნი კედია.

ქართველი სოც.-დემოკრატია სწორეთ მიტომ გამოდიოდა გამარჯვებული ბრძოლის ყველა ქარტეხილიდან, რომ მას, ბევრ სხვებივით, თავგანწირვის და მსხვერპლის გაღების არ ეშინოდა, ცოცხლათ არავის ნებდებოდა, მოპირდაპირეთ ყოველთვის შესაფერ პასუხს აძლევდა და იარაღს ხელიდან არასოდეს არ უშვებდა.

ბ ნ კედიას დღეს თავისი თავი გამარჯვებულათ წარმოუდგენია, ფარხმალი აუსხამს, ოთახში გრძელი და ჩქარი ხაბიჯებით იქით-აქეთ დადის და გაიძახის: მიცვალებულნო, მოვდივარ ხელს ნუ მიშლით, გზა დამითმეთო. ყველაფერი ეს ფრიად სასაცილო რამ იქნებოდა, რომ მეტათ სამწუხარო ამბავის და მანიით შეპყრობილობის მაჩვენებელი არ იყოს.

თუ ქართული სოც.-დემოკრატია იარაღს დაყრის, მოპირდაპირეთ უბრძოლველათ დანებდება და ეყმობა, ესე იგი, თუ ის თავის არსებობაზე თვითონვე იტყვის უარს, ბ ნ კედიას ფილოსოფიით, მხოლოთ ამ შემთხვევაში მიაღწევენ ქართველები სრულ ეროვნულ მთლიანობას.

ძაღლის თავიც სწორეთ აქ მარხია.

ბ-ნ კედიას და ზოგი სხვა ჩვენი მოწინააღმდეგების მთავარი მიზანი დღეს ჩვენი ქვეყნის დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლა და მათი თავიდან მოშორება კი არ არის, არამედ უპირველესი მათი ამოცანაა—ჯერ სოც.-დემოკრატიის დამარცხება და განადგურება. ამ მიზნით ისინი ყოველნაირ ეშმაკეულ ძალებს შეუერთდებიან და დაუკავშირდებიან, განუკითხველათ იმისა, თუ რა შედეგი მოყვება ასეთ რამეს საქართველოს ბედისათვის.

ნურას უკაცრავათ, თუ ასეთ ავანტიურებს ქართველი სოც.-დემოკრატია მთელი თავისი არსებობით და შესაძლებლობით შეებრძოლება და ქართველი ხალხის ინტერესების სადარაჯოზედ მედგრათ იდგომება.

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ სოც.-დემოკრატიამ უარი სთქვა თავის თავზე და ბურთი და მოედანი მოპირდაპირეთ დაუთმო. როგორ მოხდება ის, რასაც ბ-ნი კედია ამბობს, რომ ამ შემთხვევაში «მთელი ერი, როგორც ერთი კაცი, დაირაზმება მოვლინებული ღირსეული მეთაურის ქვეშ»-ო?

ვინ დარაზმავს ქართველ ერს ამ «მოვლინებული ღირსეული მეთაურის ქვეშ»? ამის შესახებ ბ ნი კედია არაფერს გვეუბნება. ან ვინ იქნება და საიდან მოგვევლინება (ალბათ ღვთისაგან) ეს «ღირსეული მეთაური»? არც ამის შესახებ ვტყობილობთ რამეს მისგან.

ჩვენ ვიცით, რომ ოპოზიციონურათ განწყობილ ქართველ ემიგრანტების გაერთიანების ინიციატივა მან აიღო თავის თავზე, ის მიმართავს და მოუწოდებს მათ გასაერთიანებლათ და საერთო ძალებით სოც.-დემოკრატიის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ. წარმოვიდგინოთ, რომ ამ ლაშქრის მეთაურობა სურს ბ-ნ კედიას და ფიქრობს, რომ ის იქნება «მოვლინებული ღირსეული მეთაური»? შეიძლება, ბ-ნი კედია მართლა ვარჯიშობდეს, ხან ყვითელ და ხან შავ პერანგს იცვამდეს, სარკის წინ აქეთ იქით ტრიალებდეს და თავს ჰიტლერათ, თუ მუსოლინათ წარმოიდგენდეს. მაგრამ ეს იქნებოდა მეორე ცუდი სიმპტომი იმ მეტათ სამწუხარო ამბავისა, რომლის შესახებ ზემოთ ვლაპარაკობდით.

ბ-ნი კედია ნაღვლიანათ მოთქვამს: «რატომ ვერ ახერხებენ (ქართველი ემიგრანტები. კ. გ.) გაერთიანებას, ერთი დიდი ეროვნული მოძრაობის წამოწყებას, ერთი მეთაურობის შექმნას?»ო.

აი კიდევ ბ-ნ კედიას ბრძნული და ახალი ამბავი.

დღემდინ ცნობილი იყო, რომ ეროვნული მოძრაობა იშლება და ვითარდება თვით ერის მუშაობის, მის შინაურ ეკონომიურ და პოლიტიკურ სოციალურ გარდაქმნების პროცესში. და მხოლოთ ის პარტია, თუ პირი, რომელიც მართლათ უღებს ალღოს ამა თუ იმ ეროვნული განვითარების ტენდენციას და მასში აქტიური მონაწილეობის მიღებით ცხოვრებას შეგნებულ პროცესის გამოხატულებას აძლევს და იცავს ერის უმრავლესობის ინტერესებს, ხდება ერის მეთაური და წინამძღოლი.

ბ-ნ კედიას კი 2-3 ათეული ემიგრანტის საშუალებით უნდა ხელოვნურათ და გარედან «წამოიწყოს» ეროვნული მოძრაობა და გახდეს მისი მეთაური.

ჰეინე ამბობდა, რომ კამათის და სჯა-ბაასის დროს ფიცი საბუთათ არ გამოდგება, ნიზლავის გაცემა კი სახიფათო საქმეაო.

ბ ნ კედიას გამო კი. რომ ის ემიგრაციის უბრალო ჯგუფებსაც ვერ გააერთიანებს და ვერ უმეთაურებს, ყოველივე ხიფათის გარეშე, თამამათ შეიძლება ყოველგვარი ნიზლავის გაცემა.

ეხლა ორიოდე სიტყვა ჩვენი სხვა მოწინააღმდეგეთა საყურადღებოთ.

საქართველოს სოც.-დემოკრატია მთელი თავისი შეგნებით და გულწრფელობით მონდომებულია აწარმოვოს ჩვენი ქვეყნის გამანთავისუფლებელი ბრძოლა თანხმობით და სოლიდარობით სხვა ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების არსებობა ამ ბრძოლას ხელს ვერ შეუშლის, თუ მათ შორის მოეწყობა შესაფერი თანამშრომლობა და მუშაობა. წინააღმდეგ, პარტიულათ, ორგანიზაციულათ დარაზმვა, ჩამოყალიბება და გაძლიერება, განსაკუთრებით, იქ—საქართველოში იქნებოდა უტყუარი ნიშანი ჩვენი საბოლაო გამარჯვებისა.

სავსებით შესაძლებელი და მიზანშეწონილიც არის თვითოეულმა პარტიამ იქადაგოს თავისი პარტიული პროგრამა და დოქტრინა. მხოლოთ ეს მისი პროპაგანდა უნდა სწარმოებდეს დადებითი ფორმით და პარტიათა შოთის დამყარდეს ურთიერთ თავდაუსხმელობა. ეს მოგვცემდა საშუალებას ჩვენ შორის ჩამოვარდნილიყო ერთნაირი ზავი და მით საერთო თანამშრომლობისათვის მკვიდრი ნიადაგი მომზადებულიყო. მაგრამ საზოგადოთ რაიმე თანამშრომლობა პარტიათა შორის შესაძლებელია მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ ეს პარტიები შეთანხმებული იქნებიან საერთო ძირითად პოლიტიკურ დებულებებზე, როგორიც არის: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ერის სუვერენობასთან ერთათ ხალხის სუვერენობის დაცვა და განმტკიცება.

ვისაც გულწრფელათ უნდა ჩვენი ქვეყნის გასანთავისუფლებლათ ყველა ცოცხალი ძალების დაგროვება და ამ მიზნით საერთო მუშაობაში ჩაბმა, მისთვის მისაღები უნდა დარჩეს ზემოთ აღნიშნული თანამშრომლობის პირობები და მთავარი პოლიტიკური დებულებები.

ვინც სოც.-დემოკრატიასთან მუშაობას მიზანშეწონილათ სთვლის, მან მასთან ბრძოლას და მასზე თავდასხმებს თავი უნდა გაანებოს. არ შეიძლება ვინმესთან თანამშრომლობდე და ამავე დროს მისთვის უბეში ქვები გედოს. თუ ვინმე ფიქრობს, რომ შემოტევით ჩვენ ვინმე დაგვაშინებს და წამოგვაჩოქებს, ის დიდი ილუზიების მორევში ცურავს და უნაყოფო ცდას აკეთებს...

კ. გვარჯალაძე.

---

# პარტიაში

საქ. ს.-დ. პ. საზღვარ-გარეთელმა ბიურომ დააკმაყოფილა პარიზის ორგანიზაციის კომიტეტის შუამდგომლობა შესახებ ლეონტი (ბიკტორ) ჟღენტისა და აღადგინა ის პარტიის წევრის უფლებაში.

---

# პარიზის ქართულ კოლონიაში

1 ივლის შესდგა ქართულ კოლონიის მორიგი კრება, უკეთ, მიტინგი. ვინ გინდა რომ აქ არ იყო—წევრი და არაწევრი, ქართველი მოქალაქე და არაქართველი მოქალაქე.

მიზეზი ამ არაჩვეულებრივი სანახაობისა იყო საკითხი, რომელიც შეეხებოდა ოფისს, რომელსაც აგერ რამდენიმე თვეა სწიწკნიან და რომელიც კოლონიის ერთმა ნაწილმა აირჩია თავის ჯგუფური ანგარიშების გასასწორებლათ იმ ორგანოსთან, რორომელიც აერთიანებს პოლიტიკურ პარტიებს და მთავრობას და რომელსაც ეწოდება საერთო ფრონტი.

ოფისი დაარსდა კოლონიის გარეშე; საჭირო იყო დაძლევა მრავალ და მრავალ დაბრკოლებათა, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ამ ორგანოს დაარსება-მოწყობა. ჯერ კიდევ ბევრი ცდა-მაცადინეობა სჭირდება რომ ის საბოლავოთ განმტკიცდეს. მარა ვინ დაგიდევს ამას! გაკეთებულის მისაკუთრება, გაწყობილ სუფრაზე ტოლუმბაშობა ხომ პროფესიაა ზოგიერთების და აბა ამ იშვიათ შემთხვევას როგორ გაუშვებდენ ჩვენი ურა-პატრიოტები. და აი ბრძოლაც გაჩაღდა. ერთი მეორეს დაუპირდაპირდა ორი აზრი. ერთი—ოფისის ბატონ-პატრონად კოლონიის გამოცხადება. მეორე—ოფისზე მზრუნველად და მისი საქმეების მოსაწესრიგებლათ შექნა ორგანოს, რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებდა, როგორც კოლონიის წარმომადგენელნი, ისე ის ორგანოები, რომელნიც დღემდე მზრუნველობს და უძღვება მას.

მიუხედავათ მრავალ გზის ცდისა შეთანხმება არ მოხდა, რადგან კოლონიის ერთი ნაწილი არას გზით არ თანხმდებოდა ამ ორგანოში მონაწილეობა მიეღო პოლიტიკურ ფრონტს და მთავრობას. ამიტომ კითხვა კენჭის საყრელათ დაისვა 1 ივლისის მიტინგზე და 15 ხმის უმეტესობით გადაწყდა კიდეც მათ სასარგებლოთ. კენჭის ყრის შედეგმა დიდი აღტყინება გამოიწვია გამარჯვებულთა წრეში და აქეთ-იქით გაისმა ყვირილი: გაუმარჯოს ფაშიზმსო.

ეს კრება ბევრი რამით იყო საყურადღებო, მარა ყველაზე საინტერესოა გამარჯვებულთა ბლოკის შემადგენლობა. რეზოლიუციას რომ ყველა დაინტერესებულ ორგანოსთან შეთანხმებით მოწყობილიყო ოფისის ზედამხედველობა იცავდენ: სოციალდემოკრატები, სოც.-ფედერალისტები, ფრონტში შემავალი ნაციონალ-დემოკრატები და უპარტიონი. წინააღმდეგი იყვნენ: ქართველი ფაშისტები (თეთრი გიორგია), კედიას ჯგუფი ყოფილი «მიროვოი პოსრედნიკი» ვინმე გ. ცხაკაიას მეთაურობით, პარიზის ქართველ თავად-აზნაურთა «საკრებულო», ორნატის ჯგუფი და... ი. წერეთლის ჯგუფი რ. არსენიძის მეთაურობით და მ. რუსიას ჯგუფის დახმარებით.

ჩვენ დიდი ხანია ვამჩნევდით, რომ ეს ჩვენგან გამდგარი ჯგუფი თავშეუკავებლათ დაეშვა დაღმართზე, რომ ის შურისძიებით გატაცებული არც თავს დაზოგავდა და არც ჩვენ, მარა თუ აქამდის მივიდოდა ძნელი წარმოსადგენი იყო და, გულწრფელად ვამბობთ, არც გვემეტებოდა ამისათვის. ფაშისტები, პარიზის თავად-აზნაურობის «საკრებულო» და არსენიძე-რუსია და მათი მიმყოლი! ერთი რეზოლიუცია, ერთათ ხმის მიცემა, ერთი და იგივე მოტივები! და როცა სხდომა აშკარათ გაიყო ორ ბანაკათ, ერთი მეორეს დაუპირდაპირდა ორი ბლოკი, ბლოკი—დემოკრატ. და ბლოკი ანტიდემოკრატიული ესენი აშკარათ, საჯაროთ მიემხრენ მათ და გაამარჯვებიეს კიდეც. არსენიძე გახდა ლიდერი და ორატორი მთელი მემარჯვენე დაჯგუფების. ამ ნაბიჯით ისინი საბოლავოთ გადაებენ კედია-თერთ გიორგელთა დარაზმულობას, მთელ აშკარა თუ გადაცმულ ფაშისტურ ბლოკს და თუ ვინმეს ჩვენს წრეში კიდევ ქონდა მცირედი იმედი რომ ეს ხალხი რიგიან განწყობილებაში მაინც დარჩებოდენ პარტიასთან—ეხლა ისინიც უნდა დარწმუნდენ ამ იმედის უნიადაგობაში.

კრების დასასრულ გამარჯვებულმა ცხაკაიამ დიდი მადლობა გამოუცხადა თავის ლაშქარს ასეთი ერთსულოვანი ხმის მიცემისათვის. ეს მადლობა არსენიძეს ნოზაძე-რუსიას და მათ ხალხსაც ეკუთნოდა, უეჭველათ რომ დაიმსახურეს.

საქართველოს სოც.-დემოკ. პარტიაში ყოფილა აზრთა განსხვავება, ერთი მეორესთან დავა, დაჯგუფება, ოპოზიცია, მაგრამ არ ყოფილა ასეთი უმსგავსო მოქმედება, არ ყოფილა მათი მტრის ბანაკისაკენ გადასვლა და მათთან ერთად პარტიისათვის დაპირდაპირება. ეს გაუგონარი ამბავი მოხდა მხოლოდ ერთად-ერთი და ისიც ემიგრაციაში.

მარა უმგზავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია—უთქვამს ბრძენ პოეტს. ჩვენი პარტია სულიერათ საკმაოთ გადამბულია საქართველოსთან, მის აზრთან და სულისკვეთებასთან, რომ ამ უმსგავსო საქმეს არ აყვეს და აქ სხვისი საქმე არ აკეთოს...

იგი.

---

## „ბრძოლის ხმის" ექსპედიციისაგან

«ბრძოლის ხმის» გამოწერა შეიძლება
ამხ. პ. სარჯველაძესთან შემდეგი მისამართით:
M-r P. Sardjveladze
9, rue Seguier 9. Paris (6)

## ბიანკურში

გაზეთი «ბრძოლის ხმა» იყიდება
ღ. ყორყოლიანთან
93, Av. Ed. Vaillant, 93.

Arpajon— Imprimerie de *La Gazettede Seine-et-Oise*.

Le Gérant : René Toussaint.